# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 15 მაისი, 2009 წელი.

№ 95 (6196)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# კოსტავას ქუჩის „საკნური“ ვნებანი





**ირაკლი ბათიაშვილი:**



სააკაშვილთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის უნდა გადადგეს

3

**გიორგი მამულია:**



5

ოპოზიციამ ხალხში დესტაბილიზაციის შიში იმდენად გაზარდა, რომ ის ისევ მთავრობას დაუჭერს მხარს

**ზაზა ფირალიშვილი:**

3



ქვეყანაში დღეს უფრო რთული ვითარებაა, ვიდრე პოლიტიკოსები ვარაუდობენ

## მიშა ერთბაშად არა, მაგრამ ნაწილ-ნაწილ გადადგება!

7



**სალომე ზურაბიშვილი:**



თავიდან მეც კონსტრუქციული ვიყავი, ამიტომ ამბობდნენ, სააკაშვილთან არის შეკრულიო. იმავეს უკეთებენ ალასანიას

2

**ედუარდ შევარდნაძე:**

## დღევანდელი პრეზიდენტი უნდა გადადგეს

8



**ფრაზა დღის ამ ფრაზურიდან**

**ხათუნა ოჩიაური:** (ნაციონალური მოძრაობა) —ქვეყანაში კი არ არის პოლიტიკური კრიზისი, კრიზისი არის ჩვენს პოლიტიკურ კულტურაში.

(„მაესტროს“ სტუდია, 13 მაისი).



4

## „რამდენადაც მშვენიერი ხარ!..“

## ინფორმაცია

### კოსტავას ქუჩის „საკნური“ ვნებანი

**ოპოზიციის ლიდერები აქციის მონაწილეთა იმ ნაწილს შეხვდნენ, რომლებმაც კოსტავას ქუჩის გახსნის გადაწყვეტილება გააპროტესტეს.**

**შეხვედრა კოსტავას №67-ში მდებარე გია ყარყარაშვილის ოფისში გაიმართა.**

**აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ კარგია, როდესაც ოპოზიციის ლიდერები ხალხს უსმენენ.**

**მათი თქმით, ოპოზიციის ლიდერთა გადაწყვეტილებას კოსტავას ქუჩის გახსნის შესახებ დაეთანხმნენ, რადგან ლიდერებს ენდობიან.**

**ირაკლი ალასანიას თანაგუნდელი ზურაბ აბაშიძე რეჟისორ გიორგი შენგელაიას „თავისი საქმის კეთებას“ ურჩევს.**

**როგორც აბაშიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, გიორგი შენგელაიას, როგორც რეჟისორს, პატივს სცემს, მაგრამ მიაჩნია, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.**

**— პოლიტიკოსმა პოლიტიკა უნდა აკეთოს, რეჟისორმა კი ფილმი გადაიღოს, — განაცხადა აბაშიძემ.**

**გიორგი შენგელაიამ ირაკლი ალასანიას მეთიუ ბრაიზას გამოგზავნილი პერსონაჟი უწოდა და განაცხადა, რომ ალასანია ოპოზიციის ლიდერი არ არის.**

**— კოსტავას ქუჩის გახსნა არა ოპოზიციის, არამედ ხალხის ნებაზეა დამოკიდებული, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.**

**— აღნიშნული ქუჩა გაიხსნება, თუ ამის სურვილი ხალხს აქვს, — აღნიშნა მან და ასეთ ადამიანებს კოსტავას ქუჩაზე მისვლისკენ მოუწოდა.**

### ელჩებს რეალური ინფორმაცია მიაწოდეს

**გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ დიპლომატიური კორპუსი ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა.**

**როგორც „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ელჩებმა მიიღებს რეალური ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც რეალურად განსხვავდება ხელისუფლების მიერ ელჩებისთვის მიწოდებული ცნობებისგან.**

**მისივე განცხადებით, საუბარი შეეხებოდა ოპოზიციის გეგმებსა და სამომავლო სტრატეგიას.**

**ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ დიპლომატიურ კორპუსს შეახსენა, როგორ დახურა ხელისუფლებამ საერთაშორისო გარანტიების შედეგად ჩართული ტელეკომპანია „იმედი“ ათასგვარი მაქინაციებით და როგორ ხდება ქვეყანაში მოჩვენებითი სტაბილურობის შენარჩუნება.**

**რეალურ სტაბილურობას სააკაშვილის გადადგომით შეიძლება მივაღწიოთ. მოჩვენებითი სტაბილურობით ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება შეუძლებელია, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.**

ინტერპრესნიუსი

## ოპოზიცია

**ნინო ბურჯანაძის ინიციატივით I არხის წინ „სირცხვილის დერეფანი“ კვლავ განახლდა, თუმცა, ამავე დროს ოპოზიციამ საკნების აღება და კოსტავას გამზირის გახსნა გადაწყვიტა.**

**ოპოზიციის თითქმის ყველა ლიდერი ტელევიზიის წინ, გია ყარყარაშვილის ოფისში შეიკრიბა. იქიდან გამოსულები კი ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერ იძლეოდნენ, აიღებდნენ თუ არა საკნებს. გოგა ხაინდრავამ აღნიშნა, რომ გზის გახსნის წინააღმდეგნი იყვნენ ნინო ბურჯანაძე, ეკა ბესელია, ზვიად ძიძიგური, თავად ხაინდრავა; თუმცა რადიკალიზაციის წინააღმდეგნი იყვნენ ალასანიას მხარდამჭერები. მაგალითად, დავით ბერძენიშვილმა თქვა, ხალხის აზრის კვლევებმა დაადასტურა, რომ ქუჩის გახსნა აუცილებელია, რადგან უმეტესობა საკნების ქალაქით შეწუხებულიაო.**

**მარტივი გამოსავალი თითქოს გამოიძებნა და საკნების ფეხით სავალ ნაწილზე გადატანა გადაწყვიტეს, რასაც ხალხის აღშფოთება მოჰყვა: გზის გახსნას ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რადგან ეს ჟესტი ოპოზიციის უკან დახევად აღიქვეს.**

**ჩვენ გავესაუბრეთ პიკეტირებაზე მისულ „საქართველოს გზის“ ლიდერს სალომე ზურაბიშვილს, რომელმაც ოპოზიციის შიგნით განხეთქილება კატეგორიულად უარყო და სამომავლო გეგმებზეც ოპტიმისტურად ილაპარაკა.**

# სალომე ზურაბიშვილი: თავიდან მეც კონსტრუქციული ვიყავი, ამიტომ ამბობდნენ, სააკაშვილთან არის შეკრულიო. იმავეს უკეთებენ ალასანიას



**— ქალბატონო სალომე, ოპოზიციის მომავალზე უნდა გვესაუბროთ.**

— მომავალი არის სააკაშვილის გადადგომა.

**— როგორია თქვენი სტრატეგია, დასახული გეგმები?**

— ჩვენი ქმედებები არის პიკეტირება, პარლამენტის წინ აქციები ყოველდღე, რეგიონებში გავალთ და მიტინგებს ჩავატარებთ...

**— თითქოს მაგისტრალების გადაკეტვას გეგმავდით, ითქვა რკინიგზის ბლოკირებაზეც. ეს გეგმები „ჩავარდა“?**

— რაც იქნება, ნახავთ. ყველაფერი მისაღებია, რაც არის კონსტიტუციის ფარგლებში. ჩვენი გზა არის მშვიდობიანი, ისეთი, როგორიც პირველი დღიდან გამოცხადდა. ოპოზიცია ერთიანი რჩება. რაც შეეხება ხელისუფლების პროპაგანდას ოპოზიციის დაყოფის შესახებ, დღეს უფრო გააქტიურდა, თუმცა პირველივე დღიდანვე ამბობდა ამას. ეს, რა თქმა უნდა, ტყუილია. ოპოზიციაში განხეთქილება არ არის, პირიქით, დღეს მიზანთან უფრო ახლოს ვართ. ისინიც სწორედ ამიტომ გააქტიურდნენ, რაც ჩემთვის იმედის მომცემია. ხელისუფლება გააქტიურდება, ხოლო ოპოზიცია იქნება იქ, სადაც ახლა დგას.

**— საკნების აღებას არ აპირებთ I არხის წინ?**

— როგორც ვნახავთ სააკაშვილის წასვლას, ისე ვნახავთ საკნების „გასვლას“.

**— ქალბატონო სალომე, ამბობენ, სააკაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროში იმიტომაც დაგინიშნათ შეხვედრა, რომ იქ მისულ ოპოზიციას კომპრომატები დაგიდოთ. ეს ინფორმაცია სიმართლეა თუ არა?**

— ჩვენ ვთხოვეთ, სხვათა შორის, რომ ლაპარაკის ნაცვლად კომპრომატები დაედო. ისე თქვა, ბურჯანაძე და რუსული ფულიო, გაიხსენა ხაინდრავას ძველი ამბები: მასალები, რომელიც 7 ნოემბრის შემდეგ გამოაქვეყნეს ტელევიზიით... ამაზე ვუპასუხეთ, რომ დოკუმენტები დაედოთ.

ხომ ამბობდნენ მაშინ, რომ ეს საქმე დახურულია და მსვლელობა თითქოს არ მისცეს. როგორც ჩანს, არაფერი არა აქვთ. თუ აქვთ, დადონ ერთხელ და სამუდამოდ, ხოლო თუ არა აქვთ, გაჩუმდნენ ერთხელ და სამუდამოდ. ისე კი, მალე გაჩუმდებიან.

**— თქვენზე რა თქვა?**

— მე გადმომიგდო, რომ „გრუ“-ს აგენტი ვარ. თუმცა მთლად ასე ვერ თქვა და „გრუ“-ს აგენტივით ლაპარაკობსო.

**— ირაკლი ალასანიაზე რა თქვა?**

— კარგი ბიჭი არისო, რეიტინგი აქვსო, ლევან გაჩეჩილაძეზე თქვა ლიდერი არისო, ხოლო კახა შარტავაზე — ძლიერი პარტია აქვსო, ხოლო ჩემზე — ამრევი არისო.

**— რას ერჩით, სააკაშვილს შეუქიხართ.**

— კი შეგვაქო, თარგამაძეები გახდითო, მომავალი კარგი გექნებათო და თქვენთვის კარგი თანამდებობებიც იქნებაო. ჩემთვის შეურაცხყოფა სწორედ ეს არის.

**— ...დიალოგიო, დიალოგზეო...**

### ინფორმაცია თემაში

**„საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებას მის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს.**

**როგორც სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, აშშ-ს ელჩმა ჯონ ტეფტმა მას დაუდასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელისუფლება საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრისას ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს სალომე ზურაბიშვილმა აღდგომის ღამეს მოაწყო ბუნტი ქალთა საპყრობილეში.**

**— გუშინ, ოპოზიციისა და აშშ-ს დელეგაციის შეხვედრას აშშ-ს ელჩიც ესწრებოდა. მან დამიდასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ელჩებთან შეხვედრის დროს ხელისუფლება ავრცელებს ინფორმაციას რომ მე, ადამიანი, რომელიც საფრანგეთში დიპლომატად 30 წელი ვმუშაობდი, რომელიც ვიყავი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, აღდგომა ღამეს ვაწყობდი ბუნტს — ამბოხს ქალთა საპყრობილეში. მსგავსი ინფორმაციის გავრცელება მიანიშნებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ტოტალიტარულ რეჟიმთან და თუ ჩემს წინააღმდეგ ვრცელდება მსგავსი სახის ინფორმაცია, ხომ წარმოგიდგენიათ, რას უნდა ველოდეთ საერთოდ ამ ქვეყანაში ამ ხელისუფლებისგან, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.**

**ზურაბიშვილმა ასევე გაამჟღავნა პრეზიდენტ სააკაშვილთან დიალოგის დეტალები და განაცხადა, რომ პრეზიდენტმა მას დიალოგის მიმდინარეობისას გრუს აგენტი უწოდა.**

**— ე. წ. დიალოგისას ჩვენმა პრეზიდენტმა თქვა, რომ თურმე მე ვარ გრუს აგენტი, თურმე ნინო ბურჯანაძეს რუსული ფული მოსდის, ასევე გაიხსენა 2007 წელს ხაინდრავას ე.წ. აგენტურული საქმიანობა. თუ აქვთ რაიმე დასაბუთება, დადონ, თუ არა და სამუდამოდ დადუმდნენ, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

— ...ციის სამმართველოსთან ხელისუფლებისავე სცენარით მოწყობილი პროვოცირებით, მივიჩნიე, რომ ჩვენ პასუხისმგებლობა უნდა აგვეღო, რათა რაღაცნაირად განმუხტულიყო სიტუაცია.

მართალი გითხრათ, მხოლოდ ერთადერთი იმედი მქონდა, რომ როგორც ქვეყნის ხელისუფალს, სააკაშვილს იმის განცდა მაინც ექნებოდა, რომ ძალიან მძიმე კრიზისია და ვითარება შეიძლება კიდევ უფრო დამძიმდეს. როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებამ რეალობასთან კავშირი დაკარგა, სადღაც სხვაგან დაცურავს. სააკაშვილის წასვლა იორდანიაში ხუთი დღით ამის ნათელი მაგალითია. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ძალიან დიდი საფრთხეა ქვეყნისთვის, როცა მისი ხელისუფალი რეალობის შეგრძნებას კარგავს. რამე დათმობის იმედი მართლაც არ მქონდა, რადგან კარგად ვიცი, როცა დათმობს სააკაშვილი, დათმობს წასვლით.

**მაინც წახვედით დიალოგზე, ქალბატონო სალომე, რატომ?**

— მე არასოდეს არ მითქვამს, დიალოგზე არ წავალ-მეთქი. პირიქით, ხალხს შევპირდი, თუკი იქნება დიალოგი, წავალ და გეტყვით, იქ რა მოხდება-მეთქი. მე დიალოგის ნამდვილად არ მჯერა, მაგრამ როცა დაიძაბა სიტუაცია: ეს იყო ჯარში ვითარების არევა ხელისუფლების ულირსი ქმედების გამო, თუ პოლი-

**— შარშან, როცა ორივე არჩევნები ოპოზიციის მარცხით დამთავრდა, თითქმის ყველა ლიდერი ერთხმად აღნიშნავდა, ერთ-ერთი ფაქტორი ის იყო, რომ საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება ვერ შევძელითო. დღესაც, მგონი, იგივე მეორდება. დიპლომატიური კორპუსი თქვენით არც დღეს არის მაინცდამაინც აღფრთოვანებული.**

— დღეს ხელისუფლება ამ ქვეყანას აღარ მართავს. ის დაკავებულია მხოლოდ ორი საქმით. ერთი არის ოპოზიციის დისკრედიტირება უცხოეთშიც და აქაც — დიპლომატიურ კორპუსში, და მეორე, გახლიჩოს ოპოზიცია. თითქოს პრობლემა მხოლოდ ოპოზიციაში იყოს და თითქოს არ იყოს კრიზისი, რომელიც გაჩნდა ხელისფლებასა და ხალხს შორის. თუნდაც რომ მიაღწიონ ჩვენს დისკრედიტაციას, კრიზისს ეს მაინც ვერ მოხსნის.

**— თქვენ რას აკეთებთ საერთაშორისო კეთილგანწყობის მოსაპოვებლად?**

— ჩვენ ვერ მოვიპოვებთ საერთაშორისო მხარდაჭერას. იმიტომ, რომ არ არსებობს, უცხოეთიდან ვინმემ მხარი დაუჭიროს ისეთ ოპოზიციას, რომელიც პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს.

**— „ვარდების რევოლუციის“ დროს არ იყო მხარდაჭერა უცხოეთიდან?**

— ასე ამბობდნენ, მაგრამ ტყუოდნენ. მე ვიყავი აქ ელჩი მაშინ და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ არც ერთი ელჩი არ უჭერდა მხარს სააკაშვილს, სანამ არ მოხდა 23 ნოემბერი. 24-დან უკვე დავიწყეთ მასთან შეხვედრები. მანამდე არც ერთი ელჩი არ აკეთებდა კომენტარს.

მხარს რომ არ გვიჭერენ, ეს არ არის პრობლემა, ეს არის წესი და ამას მივესალმები. ისინი, ვინც კომენტარებს აკეთებენ, ამას შვრებიან ხელისუფლების ჩარევით. ეყოფათ ელჩებს, რაც ჩაერივნენ ამ ქვეყნის შიდა საქმეებში. უმჯობესია, ისე მოიქცნენ, როგორც ამას დიპლომატია ითხოვს.

**— თქვენ, როგორც დიპლომატი, რას იტყვით ირაკლი ალასანიას დიპლომატიაზე?**

— მეც თავის დროზე ასეთი დიპლომატი ვიყავი. როცა გადმოვედი ქართულ პოლიტიკაში, არ მეგონა, თუ ასეთი ნაძირალები იყვნენ. ალასანია ახალი ჩამოსულია და ის ილუზიები აქვს, რაც მე მქონდა. გაგახსენებთ, რომ თავიდან ჩემზეც კონსტრუქციულიაო ამბობდნენ და სააკაშვილთან არის შეკრულიო. იმავეს უკეთებენ ალასანიას. პრობლემა არ არსებობს. მას თავისი გზა აქვს გასავლელი, თავისით მიხვდება ბევრ რამეს და ეს გასაგებია ჩემთვის. ის არ არის თარგამაძე და არც არასდროს იქნება.

ესაუბრა
**თეა მოსია**

## ბრიფინგი

# რას გულისხმობს საკონსტიტუციო ცვლილებების „ქართული დასის“ მოდელი?

**„ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ საკონსტიტუციო ცვლილებების „ქართული დასის“ მოდელი შესთავაზა ჟურნალისტებს.**



მისი აზრით, საპარლამენტო უმცირესობის, ანუ თარგამაძე-დავითაიას საკონსტიტუციო მოდელის მიხედვით, მიხეილ სააკაშვილს 2013 წელს საშუალება ექნება, კენჭი იყაროს და მესამედ უკვე პრემიერ-მინისტრად მოგვევლინოს. — ჩვენ წინაღამდეგი ვართ ამ მოდელისა, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ, — მათგან განსხვავებით, გთავაზობთ „ქართული დასის“ მოდელს, რომელიც გულისხმობს პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტებას და ამ უფლებების პარლამენტისთვის გადმოცემას.

ჯონდი ბაღათურიას თქმით, პრეზიდენტს უნდა გამოეცალოს დასაყრდენი — შინაგან საქმეთა სამინისტრო. დაზვერვის დეპარტამენტი უშიშროების სამინისტროდ გადაკეთდეს, პატრული კი ადგილობრივ მუნიციპალიტეტს დაექვემდებაროს, ანუ მუნიციპალიტეტი გაძლიერდეს ძალოვანი უწყებით. პრეზიდენტის უფლებები შეიკვეცოს, ნაწილი უფლებებისა დელეგირებული იყოს პარლამენტზე, ნაწილი კი — ადგილობრივ თვითმმართველობაზე.

ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, „ქართული დასის“ მოდელს შესთავაზებენ საპარლამენტო უმცირესობას, უმრავლესობას, მას ექნება კონსულტაციები პარლამენტის თავმჯდომარესთან. ჯონდი ბაღათურია საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილთანაც აწარმოებს დიალოგს. ამ მოდელის განხილვას იგი ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან აპირებს.

**ნატა ნიბლაძე**

ხედვა

***ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უშედეგოდ დასრულებულ დიალოგზე, ხელისუფლების მიერ ოპოზიციისთვის შეთავაზებული წინადადებების ადეკვატურობაზე, მოლაპარაკებების გაგრძელების შესაძლებლობასა და კრიზისის განმუხტვის სავარაუდო გზებზე „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა.***



# ზაზა ფირალიშვილი: ქვეყანაში დღეს უფრო რთული ვითარებაა, ვიდრე ჩვენი პოლიტიკოსები ვარაუდობენ

**— ბატონო ზაზა, ხელისუფლება-ოპოზიციის პირველი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. როგორ შეაფასებთ შექმნილ ვითარებაში, ერთი მხრივ, ხელისუფლების, ხოლო, მეორე მხრივ, ოპოზიციის მოქმედებას, რამდენად ადეკვატური იყო ხელისუფლება ოპოზიციისთვის თავისი წინადადებების შეთავაზებისას?**

— ოპოზიციის დიდი ნაწილი ამ შეხვედრას სხვაგვარად ვერც აღიქვამდა. მისთვის პოზიტიური შედეგი მხოლოდ პრეზიდენტის გადადგომა თუ არა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა იყო. პრეზიდენტს უნდა ეღიარებინა პოლიტიკური კრიზისის არსებობა, აქედან გამომდინარე შედეგებით.

თავის მხრივ, ხელისუფლების მიზანი იყო საზოგადოებისა და უცხოელი დამკვირვებლებისთვის ეჩვენებინა არა მხოლოდ დიალოგის, არამედ მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლის მზაობაც. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, თუ როგორ აღიქვამენ პრეზიდენტის წინადადებებს დასავლეთში. პრეზიდენტის წინადადება თუნდაც საკონსტიტუციო კომისიის შექმნის ან საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ხელახალი ფორმირების შესახებ დასავლეთში პრეზიდენტის მიერ საკუთარი შეცდომების აღიარებად და საკმაოდ დიდ დათმობად აღიქმება და მათ ქვეყნებში ეს ასეც არის.

მათთვის შეიძლება გაუგებარი იყოს ოპოზიციის უარი ამგვარ წინადადებაზე. სრულიად ცხადია, დასავლეთს რომ საქართველოში პოლიტიკური კრიზისის არსებობის ფაქტი ეღიარებინა, ნატოს წვრთნები აღარ ჩატარდებოდა. ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა შეიძლება იოლად ვერც კი აუღონ ალღო ჯერაც გაუმჟღავნებელი უარყოფითი მუხტის იმ მასშტაბებსა და ხასიათს, ჩვენში რომ არის დაგროვილი. სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ წლების მანძილზე ხომ საკმარისზე მეტი დააშავა.

საკითხს მე სხვაგვარად დავსვამდი. ვფიქრობ, პრეზიდენტმა დათმობებზე მზაობის შესახებ განაცხადი იმ იმედით გააკეთა, რომ ოპოზიცია უარს იტყვის ამგვარი დათმობების მიღებაზე და არ შეეცდება ამ დათმობათა ველის თანამიმდევრულ გაფართოებას, რითაც მომზადდება ნიადაგი საიმისოდ, რაც 26 მაისამდე შეიძლება მოხდეს კიდეც — ბლოკირებული მაგისტრალების ძალით გათავისუფლება.

ჩანს ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ამ მომენტისთვის საზოგადოებრივი აზრიც მზად იქნება ამისათვის. მეორე მხრივ, მოლაპარაკებების გაგრძელება, ბრძოლის



ასპარეზის კულუარებში გადატანა ხელისუფლებას გაცილებით მეტ შანსს აძლევს, ვიდრე ოპოზიციას, რომელიც არაერთგვაროვანია, ხშირად დაქსაქსულიც და ერთიანობას ინარჩუნებს არა მკაფიოდ ჩამოყალიბებული რამდენიმე კონკრეტული იდეის ან სტრატეგიის წყალობით, არამედ, მე ვიტყოდი, სამიტინგო ექსტაზში. კულუარული ბრძოლისას ოპოზიციას ალბათ გაუჭირდება ერთიანი რაციონალური სტრატეგიის შემუშავება. შარშანდელი მაისის მოვლენებმა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბედმა ეს სრულიად ცხადად დაგვანახა.

ოპოზიციის წარმომადგენლები კვლავ სამიტინგო სიტუაციის შექმნასა და შენარჩუნებას შეეცადნენ და ამან გამოიწვია კიდეც ის, რომ შარშანდელი ბრძოლა, მიუხედავად საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერისა, არაფრით ან თითქმის არაფრით დამთავრდა.

ვფიქრობ, ორივე მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ დღევანდელი ქართული საზოგადოება გაცილებით უფრო ფრთხილია თავისი პოლიტიკოსების შეფასებისას და პოლიტიკური ემოციების გამოხატვისას, ვიდრე ის 2003 წელს იყო. დღეს საპროტესტო მუხტის არსებობა ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ნებისმიერ ოპოზიციონერს გაჰყვებიან. ხელისუფლების მიმართ ეჭვს სულაც არ გაუქარწყლებია ეჭვი ბევრი ოპოზიციური მოღვაწის მიმართაც. ახლა, ნებსით თუ უნებლიეთ, მივადექი დღევანდელი მოვლენების უმთავრეს შედეგს: რაციონალური საზოგადოებრივი აზრის დაბადების პროცესს, როგორც ფაქტს. იგი იბადება — წვალებით, შეცდომებით, მაგრამ მაინც იბადება.

**— უშედეგოდ დასრულებული დიალოგის შემდეგ რა ვითარება მივიღეთ?**

— ქვეყანაში დღეს უფრო რთული ვითარებაა, ვიდრე ჩვენი პოლიტიკოსები ვარაუდობენ. ჩვენთან დღეს პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილის მიმართ ნდობის კრიზისია და, ვფიქრობ, მთავარი ეს არის. ამ კრიზისის ნიშნები ჯერ კიდევ შარშან მაისში გამოჩნდა. ამიტომაც მგონია, რომ ორივე მხარემ უნდა გაიაზროს, რომ ჩვენი საზოგადოება სწორედ ისეთ შედეგს ელის, რომელიც დაპირისპირებულ ძალებს გააწონასწორებს და აიძულებს აღიარონ, რომ საზოგადოება მხოლოდ მასალა კი არ არის, რომელსაც ოსტატური სახელმწიფო პროპაგანდით ან სამიტინგო განწყობილებებით მართავენ, არამედ სუბიექტია, რომელიც მოითხოვს, რომ მას ანგარიში გაუწიონ.

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგი, უმთავრესად, სწორედ იმის წყალობით შედგა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ, მიუხედავად იმისა, რომ მასში ხელისუფლების მიმართ დიდი საპროტესტო მუხტია დაგროვილი, ამ ეტაპზე მხარი არ დაუჭირა რადიკალიზმს და პროცესების რევოლიციურ განვითარებას. საზოგადოებამ დაადასტურა, რომ ამის მიუხედავად უკან არ დაიხევს, თუკი ვინმე პოლიციური ძალებით მოინდომებს პრობლემის გადაჭრას, ამით საზოგადოებაში კვლავ რადიკალიზმს გააღვიძებს.

6 მაისის მოვლენებმა რომ ხელისუფლებისთვის შედარებით უვნებლად ჩაიარა — ვგულისხმობ, რომ მათ საპროტესტო გამოსვლების მასშტაბების მკვეთრი ზრდა არ მოჰყოლია — ხელისუფლება შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს.

ამ ეტაპზე კი სწორედ საზოგადოების პოზიციამ აიძულა ხელისუფლება უარი ეთქვა ნილაბზე, თითქოს არაფერი მნიშვნელოვანი არ ხდება და დათმობებზე ეფიქრა, ხოლო ოპოზიციას — უარი ეთქვა თეზისზე, რომლის თანახმადაც ყოველგვარი დიალოგი და მოლაპარაკება ეშმაკისეულია. ვფიქრობ, ამ მოვლენებში მთავარი ეს არის.

**— ხელისუფლება-ოპოზიციის ერთი ნაწილის დიალოგი, სავარაუდოდ, გაგრძელდება, მაგრამ ოპოზიცია რადიკალიზმზე უარის თქმას არ აპირებს. მეორე მხრივ, პრეზიდენტის განცხადებაში ერთგვარი მუქარის ტონიც გაისმა. რას შეიძლება ველოდოთ უახლოეს მომავალში?**

— ჩანს, ოპოზიციის რადიკალური ნაწილი ნებისმიერ მოლაპარაკებებს კვლავ უნაყოფოდ ჩათვლის. თავის მხრივ, როგორც ვთქვი, ხელისუფლებაც დაინტერესებულია ამგვარი რადიკალიზმის არსებობით ოპოზიციაში, რადგან ეს საშუალებას აძლევს, არსებული მდგომარეობა შეინარჩუნოს.

ამან კი შეიძლება მიგვიყვანოს მდგომარეობამდე, როგორსაც არც ერთ ხალხს არ ვუსურვებდი, როდესაც ძალაუფლებისთვის მებრძოლი ძალები აღარ განასახიერებენ საზოგადოების ინტერესებს. მე ახლა ჩვენი პოლიტიკოსებისთვის და ზოგადად საზოგადოებისთვის ყველაზე ცუდი შედეგი აღვწერე. მისი ამა თუ იმ ხარისხის ალბათობა არსებობს და, ვფიქრობ, ცუდი არ იქნება, თუ ეს გვეხსომება.

**კობა ბენდელიანი**

კრიზისი



# ირაკლი ბათიაშვილი: სააკაშვილთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის უნდა გადადგეს

***რესპუბლიკური პარტიის წევრი ირაკლი ბათიაშვილი ქვეყანაში შექმნილ ვითარებას უმძიმესს უწოდებს და მიაჩნია, რომ იგი კიდევ დამძიმდება, რადგან ოპოზიცია აქციების გამწვავებას აპირებს. ბათიაშვილი მთავარ პრობლემად მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობას ასახელებს.***

**— ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს?**

— სიტუაცია კვლავ ძალიან დაძაბული რჩება. ოპოზიცია აგრძელებს თავისი გეგმის მიხედვით მოქმედებას, არ აპირებს აქციების შეწყვეტას, პირიქით, აქციები გაფართოვდება როგორც რეგიონების, ისე თბილისის მასშტაბით. ჯერჯერობით შედეგი არ გამოიღო ბრძოლამ. სააკაშვილმა უბრალოდ მოინდომა რაღაც სპექტაკლის დადგმა ამ დიალოგისგან და ცარიელი ფრაზებით ლაპარაკი აბსტრაქტულ საკითხებზე. ძალიან სამწუხაროა ეს. ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ სააკაშვილი აბსოლუტურად არაადეკვატურად აღიქვამს სიტუაციას. არ თვლის, რომ ქვეყანაში არის პოლიტიკური კრიზისი და ამბობს, რომ ეს არის რუსთაველზე შექმნილი ვითარება. ეს ძალიან დიდი ტრაგედიაა, რომ იგი მთლიანად მოწყვეტილია რეალობას, თუმცა ოპოზიცია უარს არ იტყვის შემდგომ შემოთავაზებებზე შეხვედრის და დიალოგის შესახებ, რადგან ოპოზიცია ძალიან კონსტრუქციულია.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია უაღრესად რადიკალურია თავის აქციებში და უკომპრომისოა, დიალოგის ინიციატივა პირიქით — ოპოზიციიდან მოდის. თავის მოთხოვნებში ოპოზიცია იქნება შეუვალი და ძირითად მოთხოვნებად რჩება პრეზიდენტის გადადგომა, შემდეგ რიგგარეშე პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნები. შემდგომ პერიოდში ამასთან არის დაკავშირებული ყველაფერი — საარჩევნო კოდექსისა და საკონსტიტუციო ცვლილება, შსს-ში ძირეული საკადრო და ინსტიტუციური ცვლილებები, მედიის თავისუფლება და ა.შ.

**— როგორ ფიქრობთ, დაუშვა თუ არა 9 აპრილიდან დღემდე შეცდომები ოპოზიციამ?**

— შეცდომებს ადამიანები ყოველთვის უშვებენ, მაგრამ მთლიანობაში ოპოზიციამ უზარმაზარი ენერგია გაიღო ხალხთან ერთად, რომელიც ერთი თვის განმავლობაში დაუღალავად იღვწის თავისი მშვიდობიანი მოთხოვნისათვის.

**— რამდენად მოსალოდნელია, რომ 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები განმეორდეს?**

— ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია.

**— და თუ ხალხს დაარბევენ, რა იქნება შემდეგ?**

— ძალიან ძნელია პროგნოზი, რა მოხდება, მაგრამ ხალხი შემართულია და ესეც ფაქტია.

**— თუ არსებობს პრეზიდენტის გადადგომის გარეშე სიტუაციის განმუხტვის ალტერნატივა?**

— ჩვენ ამაზე საზოგადოებასთან ერთად ვმსჯელობთ და კრიზისიდან გამოსვლის სხვა გზას ვერავინ ხედავს. სააკაშვილთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის უნდა გადადგეს.

**მედიანიუსი**

ინფორმაცია

## აშშ-ს ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ რუსეთი გონს მოეგება

**ამერიკის შეერთებული შტატები იმედოვნებს, რომ რუსეთი მედვედევი-სარკოზის შეთანხმებას შეასრულებს და სამხრეთ ოსეთსა და მის მოსაზღვრე რაიონებში ეუთოს მონიტორებს დაუშვებს.**

**ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „იმედი“ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტზე დაყრდნობით ავრცელებს.**

**აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ამერიკას სამხრეთ კავკასიაში შექმნილი კრიზისის მოგვარება მშვიდობიანი გზით სურს, რისთვისაც გამჭვირვალე პროცესი ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.**

**ამისთვის კი, აშშ-ს დეპარტამენტი სამხრეთ ოსეთისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ეუთოს მონიტორების ყოფნის აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას.**

**რუსეთმა საქართველოში ეუთოს მისიის გაგრძელების გადაწყვეტილებას ვეტო დაადო და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დამოუკიდებელი მისიის გახსნა მოითხოვა.**

ინტერპრესნიუსი

არის ასეთი აზრიც!

# „რამდენადაც მშვენიერი ხარ!..“

**ამ ოციოდე წლის წინათ, რომელიღაც ქართულ გაზეთში ზუსტად ასეთი სათაურით გამოქვეყნდა არცთუ უნიჭო მეზღაპრის კრიტიკული წერილი, რომელიც მშვენიერ ქალბატონსა და კიდევ უფრო მშვენიერ მუსიკოსს ლიანა ისაკაძეს მეტყველების ლექსიკას უწუნებდა იმის გამო, რომ ვირტუოზი მევიოლინე საუბრისას შიგადაშიგ და ალაგ-ალაგ რუსულ სიტყვებსაც ხმარობდა.**

მაშინ, ეროვნული მოძრაობის აზვირთებისას, ყოველივე რუსულის უარყოფა, განქიქება კარგ ტონად ითვლებოდა ისევე, როგორც დღეს, ოღონდ ერთი განსხვავებით – თუ მაშინ ეროვნული მოძრაობის ოდიოზური ფიგურები, ურაპატრიოტები ეწეოდნენ ანტირუსულ პროპაგანდას, დღეს იგივეს ნაცხელისუფლების გივი თარგამაძეები და ნუგზარ წიკლაურები აკეთებენ.

საქართველოში სულ მოკლე ხანში ეროვნული ხელისუფლება მოვიდა სათავეში, რომლის ერთ იდეოლოგად მეზღაპრე პეტრიაშვილიც ითვლებოდა. მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის თანხვედრის გამო ის ხელისუფლება დაემხო, რომლის იდეოლოგი გაქცევისას სისხლიან პუტჩისტებს დაემუქრა – არ მოგასვენებთ, მოგელანდებითო, მაგრამ, სამწუხაროდ, თავად გაქრა ლანდივით და მას



შემდეგ გურამ პეტრიაშვილი აღარავის უნახავს საქართველოში. ლიანა ისაკაძემ კი ჩაბნელებულ, გაყინულ, სამოქალაქო ომით მოცულ საქართველოს ბედნიერ-მაძღარი ევროპა არჩია და მას შემდეგ, რომ იტყვიან, ახალ მთვარესავით თუ გამოჩნდება ხოლმე თბილისში.

ეს არცთუ მცირე შესავალი იმად დამჭირდა, რომ წინამდებარე წერილის მთავარმა გმირმა ინგა გრიგოლიამ იცოდეს, რაზეა საუბარი და აგრეთვე გავახსენო ის დრო, როდესაც პატარა ინგას ჩემს საყვარელ, პურმარილით განთქმულ სამტრედიაში მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო დღევანდელ რეალობაზე, როცა მისი ხმის მაღალი რეგისტრი გადაფარავდა ქართულ ტელესივრცეს და მშვენიერი ქალბატონი ტელევიზიის კაშკაშა ვარსკვლავად აენთებოდა.

წერილის დაწერის სურვილი პირველად მაშინ გამიჩნდა, როდესაც ინგა საკან №5-ში ვიხილე, შემდეგი იმპულსი მის „პოლიტიკურ კვირაში“ ჯერ ლევან გაჩეჩილაძის, შემდეგ ნინო ბურჯანაძის სტუმრობამ მომცა. სულ ბოლო კი, რამაც ხელში კალამი ამაღებინა, ასევე მეხუთე საკანში ელისო ჩაფიძის ვიზიტი იყო. თუ რა შუაშია ეს, ერთი შეხედვით „აჯაფსანდალი“, ამაზე ქვემოთ.

## პროფესიონალიზმი თუ მარტივი კონფორმიზმი?

**„უცნობი“ ნაცნობის – გია გაჩეჩილაძის საკანში სტუმრობით ბევრმა, ე. წ. „ცნობადმა სახემ“ დაგვამახსოვრა თავი. ზოგმა იმით, რომ საგრძნობლად გაიუმჯობესა შელახული ავტორიტეტი, მაგალითად, ნინო ბურჯანაძემ, ზოგმა უფრო განიმტკიცა ისედაც ცნობილი რენომე.**

ასეთები იმდენად ბევრნი არიან, თუნდაც ნონა გაფრინდაშვილის და რობიკო სტურუას გვერდით, რომ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. იყვნენ ისეთებიც, ვინც საბოლოოდ მოიჭრა ისედაც მოჭრილი თავები – მაგალითად, ზურაბ ნოღაიდელი, ვისაც სრულიად საქართველოს პოლიტიკაზე ჰქონდა პრეტენზია და „გრეჩიხას“ შემდეგ იძულებულია ქობულეთის პოლიტსივრცეს დასჯერდეს.

იყვნენ ისეთებიც, რომელთა მიმართაც რაღაც უკმარისობის, სიმპათია-ანტიპათიის ნარევი გრძნობა დამრჩა და ერთ-ერთი ასეთი სწორედ ინგა გრიგოლია იყო.საიდან არ მოუარა, რა აღარ სცადა „უცნობმა“, მაგრამ ვერ დააცდენინა – ვის ან რის მხარეს იყო

ეს უდავოდ ნიჭიერი და კიდევ უფრო უდავოდ მომხიბვლელი ქალბატონი. უფრო მეტიც – ქვეყანაც რომ დაინგრეს, მიტინგზე ჩემი ფეხი არ იქნებაა. თუ მივალ, მხოლოდ, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტი, ოპერატორობაც მეხერხება და მომავალ თაობებს შემოვუნახავ დოკუმენტურ კადრებსო. – დაახლოებით ეს განაცხადა ინგა გრიგოლიამ. ეს ყველაფერი 9 აპრილის გრანდიოზული აქციის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე იყო. 9 აპრილის შემდეგ თვეზე მეტია, რაც პერმანენტული აქციები მიმდინარეობს, მაგრამ ინგა იქ არავის უნახავს. და იმ ფონზე, როდესაც თავისი საქმის დიდი პროფესიონალი, 80 წელს გადაცილებული რეზო ჩხეიძე ყოველდღე რუსთაველზე დგას, რითიც თავის პოზიციას აფიქსირებს, რა გამართლება აქვს ინგას ამაყად ნათქვამს, მე პროფესიონალი ჟურნალისტი ვარო, ამის განსჯა მკითხველისთვის მიმინდვია.

მერე იყო და, თავის „პოლიტიკურ კვირაში“ იერიში მიიტანა ლევან გაჩეჩილაძეზე – რას ჰგავს ეს „სირცხვილის კორიდორები“, რა დააშავა ნინო ქაჯაიამ, მე მასთან ერთად გავივლი იმ კორიდორში და არ შემრცხვებაო. და იქვე – ყველაფრის მიუხედავად, ლევან ყუბანეიშვილი ჩემი მეგობარიაო.

**ინგას იერიშით აშკარად შეცბუნებულმა ლევანმა (ოჯახიშვილობის, ზრდილობის გამო) მხოლოდ მეორე დღეს, მიტინგზე გასცა პასუხი და მას შემდეგ ელოდება, თუ როდის მოიწვევს საგანგებო პრესკონფერენციას, ან როდის დასვამს თავის გადაცემაში არხის ხელმძღვანელობას, რათა „სირცხვილის კორიდორების“ გარდა სხვა რამეებიც გააპროტესტოს, რაც თურმე არ მოსწონს „ყურბანვიზიის“ მუშაობაში.**

და ბოლოს, სულ ახლახან, 10 მაისის გადაცემაში, სისხლიან გიორგობაზე მეტი დრო ნინო ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარეობისდროინდელი „ბაღში კენჭების სროლას“ დაუთმო ამ პროფესიონალმა, თანაც მერამდენედ. ქალბატონმა ნინომ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, რომ იტყვიან, ბეწვის ხიდზე გაიარა და საკანში სტუმრობიდან, 9 აპრილის ობსტრუქციის გავლით, ოპოზიციის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ლიდერად იქცა. ბურჯანაძემ ყველას დაანახვა, რომ ფოლადის ნერვების მქონე ძლიერი პიროვნებაა და, როგორც მინიმუმ, მის მიმართ არსებული სამართლიანი კითხვების დასმამ პოსტსააკაშვილის დროისთვის გადაიწია. ასეთი მოცემულობის პირობებში ვის აძლევს ხელს, ვის წისქვილზე მიუშვებს წყალს პროფესიონალზმით, ობიექტურობით შენიღბული „კენჭების სროლა“?

**თუმცა კენჭებს ვინღა დაეძებს? სტუდიიდან გასულ ნინო ბურჯანაძეს, ანუ, მის დაუსწრებლად, უკვე მიშა მაჭავარიანთან საუბრისას იმხელა ქვა ესროლა ზურგში, რომ 6 მაისის გიორგობა ღამეს ქვასროლია (ტყვიებისაც) სპეცრაზმს შეშურდებოდა – „სირცხვილის კორიდორებში“ ჯერ თვითონ გაიარონო (!!! ავტ.) რა უნდა თქვა ამის შემდეგ? მხოლოდ ის, რომ...**

## სხვის თვალში თუ ბეწვს ეძებ, საკუთარში გაჩხერილი დირეც გახსოვდეს

**ყველა გზა რომში მიდისო, ამბობდნენ ძველ მსოფლიოში. ახლა? ძველმა ვექტორმა ალბათ ვაშინგტონ-ნიუ-იორკისკენ გადაინაცვლა. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს პოლიტიკურ-ფინანსური ცენტრი რომ აშშ-ია, უდავო ფაქტია, მაგრამ...**

მთელი საქართველოს მთავარი სარკინიგზო, ზოგადად სატრანსპორტო კვანძი რომ სამტრედიაა, არც ამაზე დავობენ. ინგას სამშობლოდან გზა ყველგან მიდის, მაგრამ ყველა ქართველისთვის ჯერ თბილისია. არ ვიცი, დედაქალაქში ჩამოსულმა პატარა ინგა გრიგოლიამ სად, ვისთან და როგორ დაიწყო ჟურნალისტური კარიერა, მაგრამ სწორედ იქიდან რომ დაგვამახსოვრა თავი, სადაც ახლა მოღვაწეობს – პირველი არხიდან – ეს ნამდვილად ვიცი.

მაშინ ზაზა შენგელიას ტელევიზია, რომ იტყვიან, თავფეხიანად შევარდნაძის რეჟიმის სამსახურში იყო. არც თოქ-შოუების ნაკლებობას განიცდიდა. და სწორედ ერთ ასეთ საღამოს მაშინ ახლად გაოპოზიციონერებულმა ელდარ შენგელაიამ შევარდნაძის ჯიბის ტელევიზია უწოდა I არხს. 2001 წელი იყო, როდესაც,

ის. 6 გვ.

ინფორმაცია

## ქვეყანაში მიმდინარე პროცესები სახიფათო ზღვარს უახლოვდება

**„მოძრაობა სამართლიანი საქართველოს“ ლიდერის ზურაბ ნოღაიდელის შეფასებით, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები სახიფათო ზღვარს უახლოვდება.**

**ყოფილი პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ დიალოგზე გაუთავებელი ლაპარაკის ნაცვლად, აუცილებელია, ქვეყნის გადასარჩენად გადაუდებელი გადაწყვეტილებები იყოს მიღებული.**

**ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მისი მოძრაობის მიერ შემუშავებული კონკრეტული გეგმა გააცნო. ნოღაიდელი დარწმუნებულია, რომ ეს გეგმა უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობის სრულყოფილ მონაწილეობას ქვეყნის მომავლის განსაზღვრაში.**

**ეს გეგმა გულისხმობს გადაუდებელ ღონისძიებებს, რაც ქვეყანას თავიდან აცილებს ეკონომიკურ კრიზისს, პოლიტიკურ დესტაბილიზაციას და სამოქალაქო დაპირისპირებას, – განმარტა მან.**

**რაც შეეხება გეგმას, მოძრაობა აუცილებელ პირობად აყენებს საკონსტიტუციო ცვლილებებს, რათა ქვეყანა გადავიდეს საპარლამენტო სისტემაზე.**

**ნოღაიდელმა აღნიშნა, რომ ამ ცვლილებების განხილვა შესაძლებელია იმ კომისიის ფარგლებში, რომელიც შეიძლება შეიქმნას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, ხოლო მისი მოძრაობა პროექტს წარადგენს იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი პეტრე მამრაძე კომისიაში მიწვეული იქნება.**

## საარჩევნო ბარიერი 2 პროცენტამდე უნდა დაიწიოს

**„მოძრაობა სამართლიანი საქართველო“ საარჩევნო ბარიერის 2 პროცენტამდე დაწევას ითხოვს.**

**ამის შესახებ პრესკონფერენციაზე მოძრაობის ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, თუმცა ამ გადაწყვეტილების აუცილებლობაზე მოძრაობა „ქრისტიანული საქართველოს“ ლიდერმა ისაუბრა, რომელიც ზურაბ ნოღაიდელის პარტიას უერთდება.**

**ამას გარდა, „მოძრაობა სამართლიანი საქართველო“ და „ქრისტიანული საქართველო“ მიიჩნევენ, რომ აუცილებელია, საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტდეს პარტიული პარიტეტის დაცვით.**

**საარჩევნო ბარიერი ამ ეტაპზე 5 პროცენტია.**

ინტერპრესნიუსი

თანამედროვე

# ვალერი ქობალია: დასავლეთის ყოველი აღშფოთების შემდეგ საქართველოს შვილებს და ტერიტორიებს ვკარგავთ

***„ჯი-ეიჩ-ენი“ ესაუბრება საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური იდეების მთავარ ფინანსურ მხარდამჭერს ვალერი ქობალიას.***

**– ბატონო ვალერი, სოფელ თავისუფლებაში ქართული საშუალო სკოლა იმ პერიოდში ააშენეთ, როდესაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობები უკვე დაძაბული იყო...**

– სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც ქართული სკოლისთვის მიწის გამოყოფაზე ხელი მომიწერა, აფხაზი კაცი იყო, თუმცა ამ საკითხის გარშემო წლების განმავლობაში მიდიოდა დავა. ქართული საშუალო სკოლის დაარსება სოფელ თავისუფლებაში ქართველების ერთ ადგილზე „დამაგრებას“ გამოიწვევდა და სეპარატისტულად განწყობილ ძალებს ეს არ უნდოდათ. მიუხედავად ამისა ეს მაინც მოხდა... დღეს კი ამ სკოლაში სომხები სწავლობენ.

**– 1993 წლიდან თქვენ იმ ქვეყანაში ცხოვრობთ, რომელსაც აქტიურად ებრძოდით და რომელმაც გაიძულათ, საკუთარი კუთხე დაგეტოვებინათ, რა განცდაა როდესაც პირველი პრეზიდენტის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერი და აფხაზეთიდან დევნილი კაცი რუსეთში ცხოვრობს?**

– ვლადიმირის ოლქში, ქალაქ სუზდალში ვცხოვრობ. ამ ქალაქში არაჩვეულებრივი ადამიანები ცხოვრობენ. რომ არა ისინი, მე ალბათ იქ ვერაფრით გავჩერდებოდი. განცდა თავისთავად არასასიამოვნოა: ვინც სახლიდან გამომაგდო, ისევ იმას შევაფარე თავი, თუმცა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მეც და იქ მცხოვრები ქართველების უმრავლესობასაც სამშობლოში დაბრუნებაზე გვეჭირა თვალი. ვფიქრობდით, რომ გაჩნდა რეალური შანსი აფხაზეთში დაბრუნების გაყინული პროცესის გალღვობისა.



როდესაც მიხეილ სააკაშვილს პირველად ირჩევდნენ, ავდექი ღამის ოთხ საათზე, საშინელი თოვლი იყო, მანქანა თოვლის საფარიდან გამოვთხარე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, 300 კილომეტრზე მეტი გავიარე, წავედი მოსკოვში და პირველი ვიყავი საარჩევნო ოლქში, ვინც მიხეილ სააკაშვილს ხმა მივეცი.

ის. 7 გვ.

თვალსაზრისი

# გიორგი მამულია: ოპოზიციამ ხალხში დესტაბილიზაციის შიში იმდენად გაზარდა, რომ ის ისევ მთავრობას დაუჭერს მხარს

**ინტერვიუ საფრანგეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის დოქტორთან, ექსპერტთან კავკასიის საკითხებში, ყოფილ დიპლომატ გიორგი მამულიასთან**



**— ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ, არასაპარლამენტო ოპოზიციის აქციებსა და ზოგადად ქვეყანაში არსებულ ვითარებას? ბევრი მიიჩნევს, რომ ქვეყანა პოლიტიკურ ჩიხშია. თქვენი აზრით, რომელია შექმნილი ვითარების უფრო ზუსტი შეფასება — პოლიტიკური კრიზისი, პოლიტიკური ჩიხი თუ სახელმწიფოებრივი კრიზისი?**

— ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, სახელმწიფო კრიზისი არ არის. ეს უფრო პოლიტიკურ კრიზისს ჰგავს, რომელიც შიდაპოლიტიკური დაპირისპირებიდან გამომდინარეობს. არასაპარლამენტო ოპოზიცია რიგგარეშე პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას ითხოვს. ჩემი აზრით, ვერც პარლამენტის და ვერც პრეზიდენტის არჩევნები ქვეყანაში სიტუაციას რეალურად ვერ შეცვლის. ეს ნათლად ჩანდა ადრეც და კიდევ უფრო გამოიკვეთა ბოლო თვის განმავლობაში. არასაპარლამენტო ოპოზიციამ ჩატარებულ მიტინგებსა და მანიფესტაციებში მთელი თავისი ადამიანური რესურსი და სამობილიზაციო პოტენციალი გამოიყენა, მაგრამ ჩანს, რომ მას ქართულ საზოგადოებაში საკმარისი დასაყრდენი ძალა არ აქვს. ოპოზიციის ლიდერებმა ვერ შეძლეს იმდენი ხალხის გამოყვანა, რამდენიც სურდათ. რაც მთავარია, მათ რეგიონებში საკმარისი მხარდამჭერები არ ჰყავთ. მიუხედავად ყველა პრობლემისა, საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა უკეთესობა და ცვლილებები იგრძნო. ეს განსაკუთრებით რეგიონებზე აისახა, სადაც მოსახლეობას საშუალება ჰქონდა, შეედარებინა შევარდნაძის დროინდელი მდგომარეობა დღევანდელთან. ახლა მათ შუქი, გაზი, წყალი და გზები აქვთ, რასაც ადრე სავსებით მოკლებული იყვნენ. ქალაქელებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურებში იყვნენ დასაქმებულები და რომლებსაც განსაკუთრებული სიმძიმით დააწვა ბოლო დროის რეფორმები, სოფლის მეურნეობაში ჩაბმულმა მოსახლეობამ, რომელიც პირდაპირ არ იყო დამოკიდებული სახელმწიფო ხელფასებზე, ყველაზე მეტად ისარგებლა ბოლო დროის ცვლილებებით. ამიტომაც არის, რომ რეგიონების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, როგორც ჩანს, დღევანდელ ხელისუფლებას უჭერს მხარს. რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციის მხარდამჭერებს, ისინი ძირითადად თბილისში არიან თავმოყრილნი, ამიტომაც ახალი პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნებით ვერაფერი შეიცვლება. უფრო მეტიც, სავსებით შესაძლებელია, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა ის ხმებიც ვერ მიიღონ, რომელიც ბოლო არჩევნებში ჰქონდათ მიღებული. რა თქმა უნდა, მაშინვე დაიწყება საუბარი გაყალბებაზე, რითაც ჩვენ ხელახალ პოლიტიკურ კრიზისს მივიღებთ, ოღონდ ამჯერად უფრო გამწვავებული სახით. დღევანდელი პოლიტიკური კრიზისი არის შედეგი იმ შეცდომებისა, რომელიც ოპოზიციამ და, გარკვეულწილად, ხელისუფლებამაც დაუშვა. კერძოდ, ოპოზიციამ მთავარი შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც თავისი სადეპუტატო მანდატები საჯაროდ დახია და არ შევიდა პარლამენტში. ასე იშვა დღევანდელი კრიზისული სიტუაციაც: შეიქმნა დაუბალანსებელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი სახელმწიფო სისტემა. ჩვენ მუდმივად გვესმის ოპოზიციისგან ერთი და იგივე: პრეზიდენტი უნდა გადადგეს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თავად ოპოზიციას რომ არანაირი პროგრამა და სიტუაციიდან გამოსვლის ხედვა არ გააჩნია?! ოპოზიციის რადიკალიზმი მისივე სისუსტიდან გამომდინარეობს. დიახ, მე მიმაჩნია, რომ ამგვარი რადიკალიზაცია სწორედ სისუსტის ნიშანია. დღევანდელმა რადიკალიზაციამ, ჩემი აზრით, არათუ შეუწყო ხელი, პირიქით, მნიშვნელოვანწილად შეუმცირა ოპოზიციას მომავალ არჩევნებში წარმატების მიღწევის შანსები. რა თქმა უნდა, დღევანდელ პოლიტიკურ კრიზისში ხელისუფლებასაც მიუძღვის დიდი წვლილი. მას, თავის დროზე, უნდა გაეკეთებინა ყველაფერი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური დათმობების ჩათვლით, რათა ოპოზიციონერები პარლამენტში შესულიყვნენ. ამით მოხდებოდა სახელმწიფო სისტემის დაბალანსება და დღევანდელი კრიზისის თავიდან აცილებაც.

**— თქვენ თვლით, რომ ოპოზიცია უნდა შესულიყო პარლამენტში და იქიდან დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია, მაგრამ მას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არშესვლის არგუმენტები აქვს. ერთ-ერთი მათგანი ის არის, რომ უმრავლესობა ოპოზიციის არც ერთ აზრს არათუ არ ითვალისწინებდა, არამედ განხილვასაც კი არ უჭერდა მხარს....**

— დიახ, ეს მართლაც ხელისუფლების დიდი შეცდომა იყო. მიმაჩნია, რომ 2003 წლიდან მოყოლებული, დღევანდელი ხელისუფლების მთავარი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ მას თავად არ სურდა ოპოზიციასთან და საზოგადოებასთან რეალური დიალოგის რეჟიმში ყოფნა. 2007 წლის ნოემბერში მომხდარი მოვლენები სწორედ ამ შეცდომის უშუალო შედეგი იყო. თუმცა მე მაინც მგონია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ოპოზიციას მაინც პარლამენტში მოღვაწეობა უნდა აერჩია და არა — ქუჩის მანიფესტაციები. გიმეორებთ, ამ მანიფესტაციებით ოპოზიციის რეიტინგი მხოლოდ დაეცა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციაში არის მეტ-ნაკლებად ზომიერი და კონსტრუქციული ხალხი: ირაკლი ალასანია და რამდენიმე სხვა ადამიანი, რომლებთანაც ლაპარაკი შეიძლება. არის რადიკალური ფრთაც, რომელიც თავისი ქმედებებით ქვეყანას აშკარა დესტაბილიზაციის საფრთხეს უქმნის. მთავარი მაინც დიალოგია, ოღონდ არა დიალოგი დიალოგისათვის, არამედ გულახდილი საუბარი იმაზე, თუ როგორ მოხდება მთავრობის მიერ ოპოზიციის შესაფერისი წარმომადგენლების სხვადასხვა სტრუქტურებში ინტეგრაცია, რაც მათ საშუალებას მისცემს, რეალურად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში. სწორედ ამით აღმოიფხვრება ის დისბალანსი, რომელიც არსებობს დღევანდელ აღმასრულებელ და საკანონმდებლო სტრუქტურებში, სადაც სადღეისოდ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობაა“ წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, მსგავსი მდგომარეობა აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას, მაგრამ ეს მხოლოდ დიალოგის გზით უნდა მოხდეს, იმ რეალური ტენდენციების გათვალისწინებით, რომელსაც ამჟამად საზოგადოებაში აქვს ადგილი.

**— თქვენ არაერთხელ აღნიშნეთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია რადიკალურია. როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის რადიკალიზაციას თვითონ ხელისუფლებამ ხომ არ შეუწყო ხელი?**

— დიახ! თქვენი კითხვა სავსებით სამართლიანია და არც უარვყოფ, რომ გარკვეულწილად ოპოზიციის რადიკალურობა ხელისუფლების და რადიკალიზმის შედეგია. მაგრამ ამ შემთხვევაში არ უნდა ვსაუბრობდეთ იმაზე, ვინ იყო პირველი და ვინ — მეორე. მთავარია ჰარმონიული სისტემის შექმნა ჩვენი სახელმწიფოებრივი მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისა და დაბალანსებისთვის. ჩემი აზრით, ალბათ, კარგი იქნებოდა პროფესიონალებით დაკომპლექტებული კოალიციური მთავრობის შექმნაც. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რადიკალიზმი მხოლოდ ამ ხელისუფლების სენი არ არის და მნიშვნელოვანწილად ახასიათებდა ყველა ჩვენ პოლიტიკოსს შევარდნაძის მმართველობის დასრულების შემდეგ. ისტორიული თვალსაზრისით, ესეც გასაგებია, რადგან შევარდნაძის მმართველობას ახასიათებდა სრული უმოქმედობა, უნიათობა, ხელისუფლება ფაქტობრივად ჭაობს ჰგავდა. ამგვარი სიტუაცია დაკონსერვებული იყო მრავალი წლის განმავლობაში. სწორედ ამან შვა ის დიდი რევოლუციური მუხტი, რომელმაც შემდგომში გამოიწვია მთავრობისა და ოპოზიციის რადიკალიზაცია. ეს მთლიანად ქართულ საზოგადოებასაც შეეხება. ხალხს რადიკალური გარდაქმნები სურდა იმ დროს, როცა ბოლო 10 წლის განმავლობაში, შევარდნაძის მმართველობის დროს, ქვეყანაში მდგომარეობა ფაქტობრივად სტაგნაციის დონემდე იყო მისული და არაფერი იცვლებოდა. რევოლუციური ცვლილებები და აქედან მომდინარე, რადიკალიზმი — იმ დროის ლოზუნგი იყო.

**— თქვენ ირაკლი ალასანიას „კონსტრუქციული ოპოზიციონერი“ უწოდეთ, ასევე აღნიშნეთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციაში რადიკალური ფრთაც არის, ვის გულისხმობთ ამ ფრთაში?**

— მე მგონი, ყველასთვის ნათელია ის მოწოდებები, რომელთაც აკეთებენ ძმები გაჩეჩილაძეები. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ნინო ბურჯანაძეც ბაძავს მათ. ჩემი აზრით, ეს აბსოლუტურად მიუღებელია. რაც არ უნდა გულმოსული იყო ხელისუფლებაზე, მაინც ყოველთვის უნდა აცნობიერებდე საკუთარ პასუხისმგებლობას. იმ დროს, როდესაც რუსეთი ცდილობს, ჩვენი ნებისმიერი შეცდომა საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენოს, მოწოდებები დაკავებულთა ძალისმიერი გათავისუფლების შესახებ არ არის სწორი და მართებული. უკიდურეს შემთხვევაში, იგივე საპატრიარქოსთვის მიემართათ, რათა იმ სამი დაკავებული პირის გათავისუფლება ეთხოვათ, — რა საჭირო იყო 6 მაისის მსგავსი პროვოკაციული ნაბიჯები?! არც საკნებით ქალაქის გადაკეტვა მიმაჩნია მართებულად. გასაგებია, რომ შენ გაქვს შენი აზრი. ბოლოს და ბოლოს, შენ გაძლევენ საშუალებას, რუსთაველის პროსპექტი გადაკეტო. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ მოსახლეობის რაღაც ნაწილს გადაეკეტა შანდელიზე (პარიზის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი). განა საფრანგეთის ხელისუფლება ერთი დღით მაინც მოითმენდა ამას?! რა საჭიროა ქუჩების იმპროვიზებული საკნებით მასობრივად გადაკეტვა, თუ კი იქ, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე ბევრი ხალხი იყო?! ეს არ არის მდგომარეობიდან გამოსავალი, რაზეც სავსებით მართებულად მიუთითებს ყველა დასავლელი დამკვირვებელი. ჩვენი მთავარი უბედურება ის არის, რომ ჩვენ მივიღეთ ეს რადიკალიზმი, როგორც რეაქცია შევარდნაძის მმართველობის პერიოდზე და მისგან დღემდე ვერ გავთავისუფლდით. ეს მოჯადოებულ წრეს ჰგავს, სადაც ერთის რადიკალიზმი მეორის რადიკალიზაციას იწვევს. საქართველოსთვის კი აუცილებელია, რომ ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც სახელმწიფოებრივად იაზროვნონ და ამის საფუძველზე მივიდნენ კონსტრუქციულ დიალოგამდე და თანამშრომლობის დადებით ფორმებამდე.

**— ორშაბათს ოპოზიციის წარმომადგენლებსა და პრეზიდენტს შორის შეხვედრა გაიმართა. მხარეები იმედგაცრუებული დარჩნენ. რა შედეგი შეიძლება, მოჰყვეს მსგავს შეხვედრებს, თქვენი აზრით?**

— პრეზიდენტი უფრო ადრე უნდა შეხვედროდა ოპოზიციას. მით უმეტეს, რომ თავად სააკაშვილი ყოველთვის აცხადებდა, რომ არ გაურბის არანაირ უსიამოვნო საუბრებს და ცდილობს ხალხთან ახლოს ყოფნას. სადღეისოდ სწორედ ეს არის აუცილებელი. მეორეს მხრივ, აბსოლუტურად არაკონსტრუქციულად მიმაჩნია ოპოზიციონერ ლიდერთა გაუთავებელი მოთხოვნები პრეზიდენტის გადადგომის შესახებ. რომც გადადგეს პრეზიდენტი და დაინიშნოს ხელახალი არჩევნები, შეძლებს კი ოპოზიცია გამარჯვებას?! — ჩემი აზრით, ვერ შეძლებს. ხალხი იმდენად არის შეშინებული შესაძლებელი დესტაბილიზაციის პერსპექტივით, რომ ისევ მთავრობას დაუჭერს მხარს. პარადოქსი კი ის გახლავთ, რომ ოპოზიციამ თავად შეუწყო ხელი ამ შიშის ზრდას. პრეზიდენტი იმ რეალობიდან უნდა გამოვიდეს, რომ ხალხის გარკვეული ნაწილი უკმაყოფილოა. ამ ხალხს საზოგადოებაში ინტეგრაციისა და თანამშრომლობის მისაღები ფორმები უნდა შესთავაზოს.

**— ხშირად ოპოზიციის რიგითი წარმომადგენლებისგან გვესმის შედარებები დღეს მიმდინარე მოვლენებსა და ახლო ისტორიაში განვითარებულ ამა თუ იმ ცნობილ მოვლენებს შორის. ხედავთ თუ არა მსგავსებას 2003 წლის „ვარდების რევოლუციასა“ და დღევანდელ მოვლენას შორის?**

— არავითარ შემთხვევაში! არანაირი მსგავსება არ არსებობს! „ვარდების რევოლუცია“ სწორედ იმ უმოძრაობის, უმოქმედობის, სტაგნაციის, კორუფციისა და გაყალბების შედეგი იყო, რომელიც ზოგადად ახასიათებდა შევარდნაძის მმართველობის მთელს პერიოდს. ხალხი იმიტომ გავიდა ქუჩაში, რომ ხვდებოდა, ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა. მაშინ ეს იყო ერთადერთი საშუალება, რომ ხალხს უბრალოდ ეცოცხლა და განეგრძო არსებობა. არც წყალი, არც დენი, არც გაზი, ელემენტალური საარსებო პირობებიც კი არ არსებობდა. ფაქტობრივად, თავად სახელმწიფოც არ არსებობდა. იმ დროს კარგი ითვლებოდა ცუდად და ცუდი — კარგად. საყოველთაო კორუფცია, თავისთავად გასაგებ მოვლენად იქცა. ხალხს სხვა საშუალება არ ჰქონდა, გარდა ხელისუფლების მოცილებისა. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, მე მას უფრო ტრანსფორმაციულს, ანუ გარდამავალი პერიოდის სირთულეებს ვუწოდებდი, რომელსაც თან ერთვის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგები. ჩვენ ერთი რამ უნდა გვესმოდეს: საქართველო ძალიან სპეციფიკური ქვეყანაა. საბჭოთა კავშირის დროსაც ქართველებში ღრმად იყო გამჯდარი კლანური მენტალიტეტი და ნეპოტიზმი, რაც ფეოდალური ეპოქიდან მოგვდევდა. იყო პრივილეგირებული ხალხი, როგორც, მაგალითად, ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი. ბუნებრივია, არსებობენ წრეები, რომლებიც ამ ტრანსფორმაციულ პერიოდს ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ. მე, მაგალითად, მეცოდება ის ხალხი, რომელიც ოდესღაც პრივილეგირებული იყო, დღეს კი თავს გარიყულად გრძნობს. თუმცა, რა თქმა უნდა, არც ის იყო სწორი, როცა მათ „ჩასარეცხები“ უწოდეს. ისტორიის თვალსაზრისით ასეც რომ იყოს, არ უნდა განაცხადო ამის შესახებ საჯაროდ. ხელისუფლების მოვალეობა სწორედ ის არის, რომ ეს ხალხი შეძლებისდაგვარად ინტეგრირებულ იქნას ახალ საზოგადოებაში. ხელისუფლებას მეტი ჰუმანური დამოკიდებულება უნდა გამოეჩინა მათ მიმართ.

ამრიგად, დღევანდელ მოვლენებს არავითარი კავშირი და მსგავსება არ აქვს „ვარდების რევოლუციასთან“. ეს არის ბუნებრივი სირთულეები, რომლებიც, ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, თან სდევს ნებისმიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, ტრანსფორმაციას, მოდერნიზაციასა და განვითარებას.

იხ. 6 გვ.

ინფორმაცია

## სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პირობები უნდა გამოსწორდეს

სახალხო დამცველი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პირობების გამოსწორებას ითხოვს.

როგორც სახალხო დამცველის ოფისიდან იტყობინებიან მიმდინარე წლის თებერვალსა და მარტში სახალხო დამცველის რწმუნებულებმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №1 საპყრობილე და ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება შეამოწმეს.

შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ საპყრობილეებში გათვალისწინებულზე მეტი პატიმარი იმყოფება და მათთვის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები არ არსებობს.

თბილისის №1 საპყრობილის საკნებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გათვალისწინებით მსჯავრდებულთა იქ ყოფნა შეფასდა, როგორც არაადამიანური მოპყრობა.

ქსნის №7 დაწესებულება, რომელიც 1600 პატიმარზეა გათვლილი, მონიტორინგისას მასში 2176 მსჯავრდებული იყო განთავსებული.

დაწესებულებებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს დიმიტრი შაშკინს და მოსთხოვა თითოეული პატიმარი უზრუნველყოს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ფართით.

ინტერპრესნიუსი

## თვალსაზრისი

# გიორგი მამულია: ოპოზიციამ ხალხში დესტაბილიზაციის შიში იმდენად გაზარდა, რომ ის ისევ მთავრობას დაუჭერს მხარს

(მეხუთე გვერდიდან)

დღეს არ არის საჭირო რადიკალიზმი, ყველაფერი უნდა მოხდეს გონივრულად და კონსტრუქციულად. რადიკალიზმი ჩვენს ისტორიაში ისედაც საკმარისზე მეტი იყო. გავიხსენოთ გამსახურდიას დრო, რასაც მის წინააღმდეგ მოწყობილი შეიარაღებული გადატრიალება მოჰყვა. ამის უკურეაქციად, - შევარდნაძის პერიოდის ათწლიანი უძრაობა და სახელმწიფოს სრული მოშლა, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა ახალი რადიკალიზმი „ვარდების რევოლუციის“ სახით. ოდესმე ხომ უნდა გამოვიდეთ ამ მოჯადოებული წრიდან!...

**— ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში სამხედრო ამბოხი მოეწყო, რომლის მიზნად ხელისუფლებამ საქართველოში ნატოს წრთვნების ჩაშლა დაასახელა. თუმცა არასაპარლამენტო ოპოზიცია და ექსპერტების ნაწილი ამ აზრს არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ ეს დადგმული სპექტაკლი იყო. თქვენ თუ ხედავთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებში რუსეთის კვალს?**

— როგორც ისტორიკოსი, წინააღმდეგი ვარ მოვლენათა ახსნის „კონსპიროლოგიური“ თეორიისა, თუმცა ისტორიული და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, მუხროვანის სამხედრო ნაწილში მომხდარ ამბოხში რუსეთის სპეცსამსახურების კვალს სულაც არ გამოვრიცხავ. მიაქციეთ ყურადღება: მოხდა თუ არა კოსოვოს აღიარება, პუტინმა შემდეგი რამ თქვა: „Мы не будем обезьянничать, у нас есть свои заготовки и мы знаем что мы будем делать“. ამ სიტყვების დედააზრი ჩვენ მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გავიგეთ. მოხდა პროვოკაცია, რის შედეგადაც დაიწყო აგვისტოს ომი. რამდენიმე დღის წინათ მედვედევმა განაცხადა, რომ „ნატოს სწავლება საქართველოში დიდი პროვოკაციაა, ამიტომ ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს იმას, რაც მოხდება საქართველოში და საჭიროების შემთხვევაში მივიღებთ კიდეც გადაწყვეტილებას“ („В случае необходимости, примем решения“). ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ახალ ინტერვენციაზე წავიდოდა, თუმცა ისეთი მასშტაბის ინტერვენციაზე, როგორიც აგვისტოს თვეში იყო, დღეს, რა თქმა უნდა, ვეღარ წავა. სადღეისოდ რუსეთი აღარ არის მდგომარეობის ისეთი ბატონ-პატრონი, როგორც აგვისტომდე იყო, როცა ბარელი ნავთობის ფასი 150 დოლარი იყო. დღეს ის მხოლოდ 50 დოლარს შეადგენს. როგორც ჩანს, რუსეთი წინასწარ ემზადებოდა საქართველოში დესტაბილიზაციის შესაქმნელად: აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ზრდიდა სამხედრო ძალებს, შეიყვანა იქ თავისი მესაზღვრეები, ფაქტობრივად შექმნა პლაცდარმები, სადაც შემდეგ მისი საჯარისო ნაწილების კონცენტრაცია განხორციელდა. აი, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მუხროვანის სამხედრო ნაწილში მომხდარი ამბოხიც. შეიძლება, დღევანდელ ოპოზიციას ქვეყნისთვის სიკეთის მეტი არაფერი უნდოდეს, მაგრამ ერთია, რა გინდა და მეორე — რა მოყვება შენს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. რომ მომხდარიყო დესტაბილიზაცია და სისხლისღვრა (ვთქვათ, იმავე პოლიციის სამმართველოს შენობაში შეჭრის მცდელობის დროს), სად არის იმის გარანტია, რომ რუსეთი არ წავიდოდა ახალ ინტერვენციაზე?! როგორც იცით, მედვედევიც ამბობს, რომ „ქართველ ხალხთან არავითარი პრობლემები არა აქვს, პირიქით, უყვარს კიდეც ქართველები, მთავარია, წავიდეს სააკაშვილი“. ადრე მედვედევი იძახდა, რომ „სააკაშვილის რეჟიმისგან იცავს აფხაზებს და ოსებს“. ნეტა, რა შეუშლის ხელს, საქართველოში მასობრივი არეულობის შემთხვევაში გამოაცხადოს, რომ „ქართველებს იცავს სააკაშვილის ანტისახალხო რეჟიმისგან“ და „მართლმადიდებელი ძმების“ დაცვის საბაბით შემოიყვანოს თავისი საჯარისო ნაწილები თბილისში?! აქ შეიძლებოდა, ოპოზიციაც კი წამოგებულიყო პროვოკაციაზე.

**— თქვენ შეეხეთ აგვისტოს ომს. სწორედ ეს საკითხია არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იმისა, რომ სააკაშვილი გადადგეს. თქვენ რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?**

— რუსეთის მხრიდან აგვისტოს ომი პირდაპირი პროვოკაცია და აგრესია იყო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. გავიხსენოთ, რა ხდებოდა აგვისტოს ომამდე აფხაზეთში. ფაქტობრივად, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ კრემლმა ცალმხრივად დაარღვია ყოველგვარი შეთანხმება: ჯერ რამდენიმე ათასი კაცი შეიყვანა აფხაზეთში ე. წ. რკინიგზის სამუშაოებისთვის, შემდგომ მათ სადესანტო ჯგუფები დაუმატა. მათი მიზანი იყო, იერიში მიეტანათ კოდორის ხეობაზე, რაც ბოლო მომენტში ფრანგ დიპლომატთა ჩარევამ შეაჩერა. დარწმუნებული ვარ, რომ კოსოვოს აღიარების შემდეგ პუტინმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, საქართველოს მიმართ ინტერვენცია განეხორციელებინა. მიზანი არა მარტო საქართველოს სამაგალითოდ დასჯა იყო, არამედ ისიც, რომ დასავლეთისთვის ეჩვენებინა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეზე ერთადერთი ბატონ-პატრონი რუსეთია: „თუ კი თქვენ შეგეძლოთ კოსოვოს აღიარება, მეც შემიძლია ნებისმიერი ზომის მიღება პოსტსაბჭოურ სივრცეშიო“. ფაქტობრივად, საქმე გვქონდა დიდ სტრატეგიულ თამაშთან, რომელშიც საქართველო, სამწუხაროდ, ამ თამაშის ობიექტს წარმოადგენდა. არა მგონია, სააკაშვილს შეეძლო ეს ინტერვენცია რამენაირად აეცილებინა თავიდან. ნუთუ არავის დაბადებია კითხვა, რატომ მოხდა სიტუაციის გამწვავება მაინცდამაინც ცხინვალში და არა აფხაზეთში?! პრინციპში, აფხაზეთში ხომ უფრო ადვილი იყო სიტუაციის გამწვავება, — იქ იყო კოდორის ხეობა, გალის რაიონი... აფხაზეთი ყოველმხრივ უფრო მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის, ვიდრე საქართველოს პატარა მთიანი ნაწილი, — ე. წ. სამხრეთ ოსეთი. მოგახსენებთ, რომ პროვოკაცია სამხრეთ ოსეთიდან იმიტომ დაიწყო, რომ იქიდან თბილისამდე სულ 40 კილომეტრიღა იყო. თუ კი სიტუაცია მთლიანად გამოვიდოდა კონტროლიდან, რუსეთი წავიდოდა პირდაპირ ინტერვენციაზე და თბილისში თავისი ჯარების შეყვანაზე, რითაც რეჟიმის შეცვლას მოახერხებდა. ამას მოჰყვებოდა ის, რომ მარიონეტული ხელისუფლება მოაწერდა ხელს ყველა იმ ხელშეკრულებას, რასაც რუსეთი მოსთხოვდა, საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების 25 წლით განლაგებისა და თავად ქვეყნის დსთ-ში შესვლის ჩათვლით. ნათლად ჩანდა, რომ საქართველოში რუსეთისა და დასავლეთის ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდა. რუსეთის ინტერესი რაც იყო, გასაგებია: გადაეკეტა კორიდორი, რომლითაც საქართველოს გავლით დასავლეთში კასპიის რეგიონის ენერგორესურსების მოწოდება იგეგმებოდა. ძალიან მნიშვნელოვანია ერთი რამეც: რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ოპერაცია იმის შემდეგ დაიწყო, რაც ყაზახეთის მთავრობამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება „ნაბუკოს“ პროექტის მხარდაჭერის შესახებ. ხშირად ექსპერტები ამას არ აქცევენ ყურადღებას. ფაქტობრივად, რუსეთმა საქართველოში ომით სცადა, აღედგინა თავისი გავლენა ყოფილ პოსტსაბჭოურ სივრცეზე. ამით რუსეთი შემდეგ გზავნილს უგზავნიდა სხვა რესპუბლიკებს: „თუ კი საქართველოსნაირად ჩემი ინტერესების წინააღმდეგ წახვალთ, თქვენც გაიზიარებთ მის ბედს“. საყურადღებოა აგვისტოს ომის დროს აზერბაიჯანში რუსეთის ელჩის განცხადება: — „ეს უნდა იყოს დიდი გაფრთხილება კავკასიის რეგიონის ქვეყნებისთვის!“. ფაქტობრივად, საქართველო აღმოჩნდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც 1939 წელს ფინეთი. განა შეეძლო ფინეთს იმ დროს ომის თავიდან აცილება?!

**— თქვენი აზრით, შეიცვალა თუ არა აშშ-ის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში ობამას გაპრეზიდენტების შედეგად და რა მიმართულებით უნდა ველოდოთ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარებას 4-5 წლის განმავლობაში?**

— ის ინფორმაცია, რასაც ჩვენ სადღეისოდ ვფლობთ, არ გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ ობამას ადმინისტრაცია რუსეთის მიმართ უფრო შემრიგებლური იქნება, ვიდრე პრეზიდენტ ბუშის. პირიქით, რამდენიმე დღის წინათ, კლინტონ-ლავროვის შეხვედრაზე, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა პირდაპირ განაცხადა, რომ აშშ-ის ხედვა საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ძირეულად განსხვავდება რუსეთის პოზიციისაგან.

**— როგორ შეაფასებდით ევროკავშირის პრაღის სამიტის პოლიტიკურ შედეგს, კერძოდ, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ დეკლარაციის მიღების მნიშვნელობას? როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა განვჭვრიტოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულებაში ევროკავშირის გავლენის სფეროს და საზღვრების გაზრდის პერსპექტივები და უნდა ველოდოთ თუ არა ახლო მომავალში საქართველოს საშინაო პრობლემებში და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უფრო აქტიურ ჩარევას?**

— „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ დეკლარაცია, ჩემი ღრმა რწმენით, დროული და სავსებით გამართლებული იყო. თუკი ადრე ევროკავშირი ძირითად ყურადღებას ყოფილი საბჭოთა სივრცის ცალკეულ სახელმწიფოებს უთმობდა (როგორც საქართველო და უკრაინა), რაც განაპირობებდა რუსეთის რეაქციის ფოკუსირებას სწორედ ამ ქვეყნებზე, ამჟამად ხსენებული ინიციატივა ბელორუსიას, უკრაინას, მოლდოვასა და სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას მოიცავს. შედეგი უკვე გვაქვს: სწორედ ამის გამო ბელორუსიის პარლამენტმა ვერ გაბედა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება. გარდა ამისა, რუსეთს სულ უფრო და უფრო ურთულდება პოსტსაბჭოთა სივრცეზე დსთ-ის წევრი ქვეყნების კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების საფუძველზე ანტიდასავლური ბლოკის შექმნა. ისეთი ქვეყნებიც კი, როგორიც სომხეთი და ბელორუსიაა, სულ უფრო მეტ ურჩობას იჩენენ კრემლის მიმართ. ასეთ ვითარებაში, მომავალში კრემლის ზეწოლა საქართველოზე, შესაძლოა, შესუსტდეს, რადგან მას „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სხვა წევრებთანაც გაურთულდება ურთიერთობა.

**— აგვისტოს ომის შემდეგ კავკასიაში საინტერესო პროცესები დაიწყო. არსებობს თუ არა იმის საფრთხე, რომ თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნის შედეგად საქართველომ საბოლოოდ რეგიონალური ლიდერის სტატუსი დაკარგოს?**

— არა მგონია, რომ აზერბაიჯანი, რომლის ტერიტორიას აზია-ევროპის კორიდორის მონაწილე ვერც ერთი ქვეყანა ვერ ასცდება, დათანხმდეს სომხეთთან რაიმე თანამშრომლობას ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებამდე. გარდა ამისა, საქართველოს აქვს უდავო უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით შავი ზღვის პორტების სახით. მთავარი ის არის, შევძლებთ თუ არა შიდაპოლიტიკური სტაბილურობისა და რეფორმების იმ ტემპის შენარჩუნებას, რომელიც ესოდენ ანსხვავებდა საქართველოს მისი მეზობლებისგან. ერთი სიტყვით, ჩვენი ბედი ჩვენზევეა დამოკიდებული...

ესაუბრა
**ლევან ჭითანავა.**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

## არის ასეთი აზრიც!

# „რამდენადაც მშვენიერი ხარ!..“

(მეოთხე გვერდიდან)

გიორგი სანაიას მკვლელობის შემდეგ, კახა თარგამაძის სპეცრაზმმა სცადა „რუსთავი-2“-ში შეჭრა, რამაც ლამის მთელი ქალაქი ქუჩაში გამოიყვანა იმ დროს მართლაც ხალხის საყვარელი ტელევიზიის დასაცავად.

იმ აქციების დროს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გადადგა იმ პირობით, რომ შსს მინისტრი კახა თარგამაძე და იმ დროისთვის ახლადდანიშნული გენპროკურორი გია მეფარიშვილიც იგივეს იზამდნენ. ასეც მოხდა იმ საღამოს, როცა პირდაპირი ეთერი მგონი ეკა ბერიძეს მიჰყავდა და ინგა, რომელიც ალბათ თავის კაბინეტში უყურებდა ყველაფერს, მოულოდნელად შემოიჭრა სტუდიაში და, როგორ თუ ჯიბის ტელევიზიაო, პირდაპირი ეთერიდან მოსთხოვა უკვე გადამდგარ რკინის ექსმინისტრს და გენპროკურორს, სასწრაფოდ გამოცხადდით სტუდიაშიო...

ორივენი რამდენიმე წუთში გამოცხადდნენ და პირდაპირ ეთერში დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. რომ იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანდა.

**ალბათ ამის შემდეგ მიხვდა ზაზა შენგელია (ან ზემოდან მიახვედრეს), რომ გადაამლაშეს ინგამ და კომპანიამ და პირდაპირი ეთერი საქართველოს ლამაზი ხედების ჩვენებით ჩაანაცვლეს, რადგან ის „საპროტესტო აქცია“ ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი. რა იყო ეს, თუ არა შეგნებულად თუ შეუგნებლად ცეცხლზე ნავთის დასხმა? ყოველ შემთხვევაში იმ პროფესიონალიზმთან, რითაც ადგილ-უადგილოდ ყელყელაობს ინგა გრიგოლია, საერთო რომ არაფერი აქვს, ალბათ, ცხადია.**

აი, ეს არის ის დირე, რომელსაც საკუთარ თვალში ვერ ამჩნევს, სხვის ბაღში ქვასროლია მომხიბვლელი ინგა. და ისეთი დირეების გახსენება კიდევ შეიძლება იქიდან გამომდინარე, რომ კარიერის მანძილზე მან ყველა ტელევიზია მოიარა, მაგრამ, ალბათ, საკმარისია.

**მხოლოდ ერთს დავამატებ — საერთოდ სხვის ჯიბეში ხელის ფათური უკადრისი საქმეა, მაგრამ რამდენადაც ჩემი ჯიბიდანაც ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყებელი, მგონია, მაქვს უფლება, ვიცოდე, რამდენ ათასს უხდიან ინგას ზემოთ ხსენებული პროფესიონალიზმ-ობიექტურობისთვის? და ბოლოს,**

### რა შუაშია ელისო ჩაფიძე?

**შუაში კი არა, თავშია ჩემი დობილი და „რეზონანსის“ რედაქტორის მოადგილე, რადგან სხვა ჩემს კოლეგებთან ერთად, ის მიმაჩნია ნამდვილ პროფესიონალად. და თუ მის მაგალითზე ვსაუბრობ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებზე კარგად ვიცნობ და ბევრი მაქვს მისგან ნასწავლი. თუნდაც ის, რომ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება არ ნიშნავს არაობიექტურობას.**

სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ინგა გრიგოლია პირდაპირი ეთერიდან საშველად უხმობდა რკინის კახა თარგამაძეს, ლამის მოსაკლავად დასდევდნენ ელისო ჩაფიძეს. როცა ინგა გამყინავი ხმით ყვირის, არავის დავაჩაგვრინებ ჩემს კოლეგა ავალიანსო, რასაც საეჭვო ოპერატიულობით ეხმიანება ქვეყნის პრეზიდენტი, იქნებ სჯობს, რომ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ? ეს სახელი კი არის პროვოკაცია და პროვოკატორები — გინდა ის ავალიანი იყოს და გინდა, უფრო ადრე, ვინმე თენგოს ზღაპარი.

ასეთი ხალხი კი ბევრია „ყურბანვიზიაში“ და მათი სირცხვილის კორიდორებში გატარების უფლება ნამდვილად აქვს საზოგადოებას ნინო ქაჯაიას ჩათვლით, რადგან ამ დაქცეულ ქვეყანაში თავისთავად „ცხოვრება მშვენიერიას“ დასახელების გადაცემის არსებობაა უზნეობა. აღარაფერს ვამბობ ამ გადაცემის მონაწილე ზოგიერთ ამაზრზენ პერსონაჟზე.

რაც შეეხება ინგას გაგებით პროფესიონალიზმს, ადამიანი ჯერ პიროვნებად იბადება და შემდეგ ხდება ამა თუ იმ საქმის პროფესიონალი. აქედან მთავარი სიმართლის გვერდში დგომაა. ხანდახან კი ეს საკუთარი პოზიციის დაუფიქსირებლად შეუძლებელია. მით უმეტეს ჩვენს რეალობაში.

**დავით მხეიძე.**

*P. S. მხოლოდ „იმედის“ დარბევის შემდეგ აღმოაჩინა ინგა გრიგოლიამ, რომ ბინძურ თამაშში ყოფილა ჩათრეული, რითიც ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის მიმართ ელემენტარული უმადურობის დაფარვა სცადა, თუმცა საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილის აზრით ის, რაც ბადრის მიმართ ჩაიდინეს, და არა მხოლოდ ინგამ, უბრალოდ უმადურობა კი არა, ღალატი იყო.*

*რაც შეეხება სიბინძურეს, ნეტავ რა ჰქვია იმ თამაშს, რასაც ლევან ყუბანეიშვილის ტელევიზია თამაშობს? ის, რომ ინგა იქნებ სხვებს სჯობს, იმას არ ნიშნავს, რომ...*

*რამდენადაც ნიჭიერი და მშვენიერია ინგა გრიგოლია, იმდენად მეტია მის მიმართ მოთხოვნა, რადგან საზოგადოებას ახსოვს და ურჩევნია ის ინგა, ვინც „იმედის“ „ბინძურ თამაშს“ თამაშობდა.*

*დ. მ.*

◉ მოჩუხჩუხე დემოკრატია

# ყვავმა კაკალი გააგდო...

## მიშა ერთბაშად არა, მაგრამ ნაწილ-ნაწილ გადადგება!

**11 მაისს საქართველო, მთელ მსოფლიოსთან ერთად, ქვეყანაში დემოკრატიის მორიგი, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო გამარჯვების მომსწრე გახდა. მთელი ერთთვიანი საპროტესტო მანიფესტაციების შემდეგ, რაც თავისთავად პლანეტის დემოკრატიული მოძრაობის ისტორიაში უიშვიათესი შემთხვევაა, ხელისუფლება და ოპოზიცია მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. რა შედეგით დამთავრდა? დემოკრატიისთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ დიალოგი შედგა!**

დიახ, ნანატრი დიალოგი შედგა. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციამ გამბედაობა მოიკრიბა და ის მოთხოვნა, რაზეც ქუჩაში მდგომ ხალხთან ერთად მთელ თვეს ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა („მიშა გადადექი!“ძ, პირადად მიშას პირში მიახალა, რატომ უნდა გადადგეს! იმის მიზეზებიც სულ სათითაოდ ჩამოუკაკლა:

პრეზიდენტი სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლამდე ხალხს ზღაპრულ დემოკრატიას და ცხოვრებისეულ ოაზისს შეპირდა, მაგრამ ფაქტობრივად ძვირადღირებული, უსახო შადრევნების აშენებისა და სახლების კოსმეტიკური შეღებვის გარდა, არც ერთი დანაპირები არ შეასრულა. მან შექმნა ქვეყანაში ერთპიროვნული, უზურპატორული მმართველობა უსახო, უპირო, უგვანო პარლამენტით, რომელმაც კონსტიტუცია სააკაშვილის ამბიციებსა და ანტიეროვნულ მიზნებს მოარგო. საქართველოში დღეს არ არსებობს სამართალი და კანონიერება, დანგრეულია ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, განადგურებულია განათლება, კულტურა, მეცნიერება, ზნეობა, თავისუფალი პრესა და ტელევიზია. უნდილი და კორუმპირებული ხელისუფლების ბრალია, აგვისტოს სამარცხვინო ომი და ახალი ტერიტორიების დაკარგვა, ეროვნული სიმდიდრეების — მიწის, წყლის, წიაღისეულის, ჰიდროელექტროსადგურების, ტყეების, მუზეუმების გაყიდვა, ტრადიციული ფასეულობების შერყევა, ქვეყნის, ერის უფლებებისა და ღირსების შელახვა.

— არ შევიბრალეთ ჩვენი სათაყვანებელი პრეზიდენტის რეიტინგი და თავმოყვარეობა და ეს ყველაფერი ერთად ვაძგერეთ, რადგან ვფიქრობდით, თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც დანამუსდებოდა, ქვეყნის ინტერესებს პირადულზე მაღლა დააყენებდა და გადადგომაზე დაგვთანხმდებოდაო,— განაცხადეს მოლაპარაკებიდან დაბრუნებულმა რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებმა.

თავად პრეზიდენტი კი დარცხვენის ნაცვლად (მას ხომ მძიმე ბრალდებები წაუყენესძ თურმე მხიარულ ხასიათზე დადგა და გაკვირვებულმა იკითხა: თქვე კაი ხალხო, ჩემთან დიალოგზე რომ მოდიოდით, ნუთუ კონკრეტული წინადადება არაფერი მოგიტანიათო?

— რას ბრძანებთ, ბატონო პრეზიდენტო, აბა ხელცარიელები ხომ არ გეახლებოდითო, — მოუგოდიშეს ოპოზიციის ლიდერებმა, — აკი გითხარით და თუ არ გვიწყენთ, კიდევაც გაგიმეორებთ, მიიღეთ მოწყალება, შეიბრალეთ თქვენს მიერ დაქცეულ-დანგრეული ქვეყანა და გადადექითო.

პრეზიდენტმა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქვეყნის ინტერესებს ვერ უღალატებდა, რა თქმა უნდა, გადადგომა ოპოზიციას არასერიოზულ მოთხოვნად ჩაუთვალა, მაგრამ სულგრძელობა გამოიჩინა და ოპონენტებს ამჯერად არ განურისხდა. ისე კი განცვიფრდა, იმ წარმატებების ფონზე, რასაც ქვეყანამ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მიაღწია, ოპოზიციას და მის მხარდამჭერებს ასეთი არამიწიერი აზრი საიდან უნდა მოსვლოდათო!

ამას რომ ფიქრობდა, ნაჯაფარ და ნაადრევად გაჭაღარავებულ პრეზიდენტს უნებლიეთ გაახსენდა რუს აგრესორებთან უთანასწორო ბძროლაში მოგებული ომი, რომელიც, რომ არა მთავრსარდლის გამორჩეული მხედართმთავრული ნიჭი და მოხერხებულობა, შეიძლებოდა დედაქალაქის აღებით, ხელისუფლების ჩამოშლითა და ქვეყნის სრული ოკუპაციით დამთავრებულიყო. პირველ ხელისუფალს მწარედ დასცეცხლა იმის გახსენებამაც, რა საფრთხეს ააცილა ქვეყანა ამ დღეებში მუხროვანის ბატალიონში გამოვლენილი სამხედრო ამბოხის სარეკორდო დროში ალკვეთით. არც ის დავიწყებია, მისმა აღზრდილებმა და ნაწრთობმა პოლიციამ „მიშა მაგარიას!“ ძახილით რა იოლად (მხოლოდ რეზინისა და პლასტიკური ტყვიებითძ მოიგერია დილომში პოლიციის სამმართველოზე განხორციელებული დემონსტრანტთა მასობრივი თავდასხმა (!ძ.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ იმის შემდეგ, რაც ოპოზიციის ლიდერებმა იკადრეს (პრეზიდენტს ურცხვად გადადგომა მოსთხოვესძ, სააკაშვილს ეფიქრა, რომ ამ ჩვენს ლიდერებს საამქვეყნო ცხოვრებისა არაფერი გაეგებათ და სადღაც ირეალურ, ვირტუალურ სამყაროში დაფრინავენ? რაღა დაგიმალოთ და, თავის მხრივ იგივე იფიქრეს სადიალოგოდ მისულმა ოპონენტებმა, რომელთაც პრეზიდენტს შექმნილი რეალობისადმი არაადეკვატურობა, თავქარიანობა და ცრუპენტელობა დასწამეს. ესეც არ იკმარეს და სააკაშვილი მის მიერვე შექმნილ ამქვეყნიურ სამოთხეში რომ დააბრუნონ, მას ქუჩის აქციების გამწვავებითა და ერის საყოველთაო დაუმორჩილებლობით დაემუქრნენ.



ვფიქრობ, ხალხს არ შეეშლება იმის გარკვევა, რომელს ესიზმრება მოჩვენებითი კეთილდღეობა, ხელისუფლებას, რომელიც ვირტუალობის ავტორია, თუ თავად ხალხს, რომელიც ამ ვირტუალობის მსხვერპლია. ისიც საკითხავია, ის შეთავაზებები, რომლებიც პრეზიდენტმა ოპოზიციასთან შეხვედრისას გააჟღერა, ხელისუფლების ვირტუალური ქმნადობის მორიგი რაუნდია თუ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლის რეალური ნაბიჯები?

ერთიც შეიძლება ვიფიქროთ და მეორეც, მით უფრო, რომ მიშას უყვარს პოლიტიკაში აღმადაღმა ხეტიალი და რებუსებით ლაპარაკი. ამის საილუსტრაციოდ ხომ არ გამოდგება თუნდაც პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო კომისიის შექმნა, რომლის თავმჯდომარეც, სააკაშვილის თქმით, ოპოზიციის წარმომადგენელი იქნება? პარიტეტულ საწყისებზე შემუშავდება ქვეყნის კონსტიტუციური მოდელი, რომელიც საქართველოში დემოკრატიზაციის ახალ ტალღას დაუდებს სათავეს. ამას მოჰყვება სხვა პროცესები — სასამართლო რეფორმა, მედიასაშუალებების სახელისუფლებო ზეწოლისგან გათავისუფლება, ქვეყნის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ოპოზიციონერების დანიშვნა და სხვა.

**იქნებ ოპოზიციამ იფიქროს იმაზე, ხომ არ ნიშნავს ეს მიშას, იგივე მისი აღმატებულების — საქართველოს პრეზიდენტის ნაწილ-ნაწილ გადადგომას? (მისი სიჯიუტის ამბავი რომ ვიცით, ერთბაშად არ გადადგება!). ალბათ ამის იმედი აქვს ირაკლი ალასანიას, რომელიც პრეზიდენტთან დიალოგის გაგრძელების იდეას ვერასგზით შელევია. რატომაც არა, ბოლოს და ბოლოს, ოპოზიციამ შეიძლება სააკაშვილს ნაწილ-ნაწილ გადადგომის გრაფიკი დაუწესოს და მისი უცილობლად შესრულების პირობა ჩამოართვას.**

ერთადერთ საეჭვოდ ისღა რჩება, რომ სააკაშვილი უპიროზო კაცია და მის სიტყვას დღეს მსოფლიოში აღარავინ (დამარცხებული რუსეთიც კიძ არ ენდობა. ამის მიუხედავად, იმის გარანტია მაინც რჩება, რომ ეს დაპირება 2013 წლამდე გაგრძელდება. უდიალოგოდ ესეც არ იქნებოდა. ნათქვამია, ყვავს კაკალი გააგდებინე, ისიც კარგიაო...

თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა ყვავმა კაკალი საკუთარი სურვილით გააგდო, რათა ოპონენტი აცდუნოს და დროებით მაინც თავიდან მოიშოროს.

**ოთარ ხუციშვილი**

◉ თანამემამულე

# ვალერი ქობალია: დასავლეთის ყოველი აღშფოთების შემდეგ საქართველოს შვილებს და ტერიტორიებს ვკარგავთ

(მეოთხე გვერდიდან)

**— შემდეგ იყო ეროვნული თანხმობის დეკლარაციაზე ხელისმოწერა...**

— ეს ფაქტი ჩვენთვის, პირველი პრეზიდენტის გუნდის წევრებისთვის და არა მარტო ჩვენთვის, იყო კიდევ ერთი იმედი და ნიშანი იმისა, რომ ჩვენ ჩვენს არჩევანში არ შევცდით, როდესაც ხუთიანი შემოვხაზეთ, მაგრამ მოგვიანებით ეს დეკლარაცია თაროზე შემოდეს, ისევე როგორც სხვა დაპირებები...დავრჩით იმედგაცრუებულები.

**— სუზდალში თქვენ საკმაოდ წარმატებულ ბიზნესმენად ითვლებოდით, ამ ქალაქში მალეააწყვეთ თქვენი საქმე, მოგვიანებით კი, 1997 წელს, დააფუძნეთ „დევნილთა და იძულებით გადაადგილებულთა საზოგადოება“, რაში დაგჭირდათ ეს ორგანიზაცია?**

— როდესაც რუსეთში ჩავედი, რამდენიმე სერიოზულ პიროვნებას შევხვდი, რომლებმაც მითხრეს, თქვენ აქ იცხოვრებთ, არ არის პრობლემა, მაგრამ ძალიან გაგიჭირდებათო. ეს იყო იმის ნიშანი რომ ქართველებს შეავიწროვებდნენ. ათობით ათასი აფხაზეთიდან დევნილი სხვადასხვა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. სასწრაფოდ დასჭირდათ ფინანსური, იურიდიული და სხვადასხვა სახის დახმარება. ამიტომ გადავწყვიტე ასეთი ორგანიზაციის დაფუძნება. დღეს მთელი რუსეთის მასშტაბით 22 ფილიალი მუშაობს. ამ ორგანიზაციებს მთლიანად ვაფინანსებდი.

**— რა ურთიერთობა გაქვთ მოსკოვის ქართველობასთან, ისეთ პიროვნებებთან მაგალითად, როგორებიც არიან მიხეილ ხუბუტია, ვლადიმერ ხომერიკი, ებრალიძე, ეს გვარები ქართულმა საზოგადოებამ ბოლო თვეების განმავლობაში უკვე კარგად გაიცნო...**

— მიხეილ ხუბუტიას ერთხელ შევხვდი, ვისაუბრეთ, თუმცა ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგეთ და ამით დამთავრდა ყველაფერი. არ მაქვს კავშირი ვლადიმერ ხომერიკთან. ვიცი ბატონი ებრალიძის შესახებაც. მინდოდა მასთან შეხვედრა, თუმცა შეხვედრა სხვადასხვა მიზეზების გამო არ შედგა.

**— როგორია რუსეთში მცხოვრები ქართველების და, პირველ რიგში, აფხაზეთიდან დევნილების პოლიტიკური შეხედულებები საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ?**

— მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომელთაც აფხაზეთიდან დევნილები რუსეთში საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის გამო აწყდებიან, მათ მიხეილ სააკაშვილზე ვერაფრით ცუდს ვერ ათქმევინებ. ალბათ პრინციპის და ღირსების საკითხია, რომ სწორედ რუსეთში არ უნდა გააკეთო ეს, ასეც ხდება.

**— როგორ აფასებთ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და რატომ არ ხართ ჩართული პოლიტიკურ პროცესში... მე მახსოვს თქვენ მიხეილ სააკაშვილს ისეთივე დახმარებას ჰპირდებოდით, როგორც ზვიად გამსახურდიას, თუმცა მოგვიანებით ბადრი პატარკაციშვილის გვერდით აღმოჩნდით...**

— დღეს უკვე მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი უნდა გადადგეს და საშუალება მისცეს სხვა ძალას. ვფიქრობ, რომ აფხაზებთანაც და რუსებთანაც უნდა დაიწყოს პირდაპირი დიალოგი, უნდა შერბილდეს პოლიტიკური რიტორიკა, უნდა დაიხვეწოს მიდგომები საკითხების მიმართ. უნდა ველაპარაკოთ აფხაზებს, ოსებს... აუცილებელია პირდაპირი კავშირების დამყარება მათთან. რაც შეეხება ჩემს პოლიტიკურ ორიენტაციას, მე დღეს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ მივეკუთვნები. ძალიან კარგად ვიცნობ ზვიად ძიძიგურს, კახა შარტავას, კონსტანტინე გამსახურდია ჩემთან სუზდალშიც კი იყო ჩამოსული, თუმცა ჩვენ ვერ გავუგეთ ერთმანეთს. ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელთა ქმედებები მე არ მომწონს. დიდი იმედი მქონდა ირაკლი ალასანიასი, თუმცა ვფიქრობ, რომ მან გარემოცვა უნდა შეცვალოს და საკუთარი პოლიტიკური პარტია უნდა ჩამოაყალიბოს. დღეს მის გარშემო შემოკრებილია ისეთი ადამიანების ჯგუფი, რომლებმაც პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ უამრავი დანაშაული ჩაიდინეს. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, ნინო ბურჯანაძე შეიძლება იყოს ის ადამიანი, ვინც შეძლებს ქვეყნის სათავეში მოსვლას და მის გაძღოლას. დიდი სურვილი მაქვს პოლიტიკაში მოსვლისა და უახლოეს მომავალში მე ამას გავაკეთებ. ჩვენ გვექნება ჩვენი მიდგომა კონფლიქტების დარეგულირებისა და რუსეთთან განსხვავებული ურთიერთობების დამყარების კუთხით.

**— როგორ გესახებათ დღევანდელი სიტუაციიდან გამოსავალი?**

— დღეს გამოსავალი ასეთია: უნდა შეიცვალოს კონსტიტუცია, შეიზღუდოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები, უნდა დაიხვეწოს საარჩევნო კანონი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საოლქო და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების ფორმირების შესახებ კანონი. რაც შეეხება პოლიტიკურ ორიენტაციას, მიმაჩნია, რომ ნატოში შესვლასთან დაკავშირებით ზედმეტად პედალირება და აჟიტირება დამღუპველია. კი ბატონო, დასავლეთიდან გვეხმარებიან ფინანსურად, ტექნიკით, წვრთნისას და აღჭურვის პროგრამით, ჭკუასაც ხშირად გვასწავლიან... ყოველი ინციდენტის შემდეგ წარმატებითაც აღშფოთდებიან ხოლმე, ჩვენ კი ყოველი მათი აღშფოთების შემდეგ ვკარგავთ საქართველოს შვილებს და ტერიტორიებს.

**ესაუბრა**
**თამარ მირცხულავა**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ედუარდ შევარდნაძე: დღევანდელი პრეზიდენტი უნდა გადადგეს



**სამშაბათს საქართველოს ყოფილმა ლიდერმა ედუარდ შევარდნაძემ მოუწოდა ქვეყნის პრეზიდენტს, რომელსაც თავს ესხმის ოპოზიცია, გადადგეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული სისხლისღვრა.**

შევარდნაძე მანამ, სანამ საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდა, ხელს უწყობდა „ცივი ომის“ დამთავრებას სსრ კავშირის უკანასკნელი საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში. იგი იძულებული იყო, დაეტოვებინა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი 2003 წელს მასობრივი საპროტესტო აქციების შედეგად, რომელმაც ხელისუფლების უმაღლეს სათავეში აალორძინა მიხეილ სააკაშვილი. ამჟამად დემონსტრაციები მიმდინარეობს უკვე თავად სააკაშვილის წინააღმდეგ, ოპოზიცია მის გადადგომას მოითხოვს.

შევარდნაძემ (იგი 81 წლისააძ „ასოშიეიტედ პრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოში შექმნილ სიტუაციას „თითქმის კატასტროფული“ უწოდა და ამტკიცებს, რომ ქვეყანაში სააკაშვილის მოწინააღმდეგე ძალიან ბევრია.

დღევანდელ პრეზიდენტს უკვე ერთ თვეზე მეტია უხდება შეჯახება ოპოზიციის ყოველდღიურ მიტინგებთან საქართველოს დედაქალაქ თბილისში. იგი უარს ამბობს პოსტის დატოვებაზე ვადამდე; მისი უფლებამოსილება მთავრდება 2013 წელს. ოთხშაბათს საპროტესტო აქციები, რომლებიც ძირითადად სამშვიდობო ხასიათისა იყო, გადაიზარდა პოლიციასთან შეჯახებაში, რის შედეგადაც წარმოიქმნა ძალადობის ესკალაციის საშიშროება.

მოკლევადიანმა, უსისხლო ამბოხებამ სატანკო ბატალიონის ყაზარმებში გასულ კვირას – საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს სწავლების დაწყების წინ – წარმოქმნა ახალი შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აკონტროლებს ქვეყნის პრეზიდენტი სიტუაციას.

შევარდნაძე, რომელიც საქართველოს ედგა სათავეში 1992-დან 2003 წლამდე, გვაფრთხილებს: ხელისუფლება არ უნდა მიეცეს განცხრომას – მოვლენათა განვითარებამ ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება დაკარგოს კონტროლი. „ამჟამად საქართველოში შეიქმნა მეტად დაძაბული სიტუაცია, რომელსაც მე ვუწოდებდი თითქმის კატასტროფულს“, – აღნიშნა მან.

შევარდნაძის სიტყვებით, 2003 წელს მან ნებაყოფლობით დატოვა პოსტი, რათა თავიდან აეცილებინა სისხლისღვრა მასობრივი საპროტესტო აქციების დროს, რომლებმაც მიიღეს სახელწოდება „ვარდების რევოლუცია“ – იგი გახდა პირველი რამდენიმე ანალოგიური „ფერადი რევოლუციებისა“ ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე. ამ საპროტესტო აქციებმა ხელისუფლებაში მოიყვანა სააკაშვილი, მაგრამ მისი პოპულარობა დაეცა რუსეთთან წაგებული ომის შემდეგ გასული წლის აგვისტოში. კრიტიკოსები მას ადანაშაულებენ „ვარდების რევოლუციის“ იდეალების გაყიდვაში, დემოკრატიული პრინციპებისგან გადახვევაში, სასამართლო რეფორმების ჩაშლასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მოგუდვაში.

„ოპოზიცია ძალიან კარგად არის ორგანიზებული, იგი ძლიერია, – აღნიშნავს შევარდნაძე. – საქართველოში არასოდეს ყოფილა ასეთი ძლიერი ოპოზიცია. მე რომ სააკაშვილის ადგილზე ვყოფილიყავი, გადავდგებოდი“.

ოპოზიციური პოლიტიკოსების უმრავლესობა, რომლებიც სათავეში უდგანან საპროტესტო აქციებს, თავის დროზე მონაწილეობდა „ვარდების რევოლუციაში“, შემდეგ მათ ეკავათ სხვადასხვა პოსტი სააკაშვილის ადმინისტრაციაში. მაგრამ, ანალიტიკოსების სიტყვებით, ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა სახის ჯგუფს, რომლებსაც მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ უჭერს, ვინაიდან ერთადერთი, რაც მათ აერთიანებთ – ეს არის სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა. ორშაბათს მოლაპარაკება სააკაშვილსა და მის ყველაზე მოწინააღმდეგე ოთხ ოპოზიციონერს შორის ჩიხში შევიდა – მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა შესთავაზა მათ ხელისუფლების გაყოფა. ამის შემდეგ ოპოზიციონერები დაჰპირდნენ, რომ გააძლიერებდნენ საპროტესტო აქციას, რომელიც 9 აპრილს დაიწყო და გაგრძელდა თბილისის ფარგლებს გარეთაც.

შევარდნაძემ გაიხსენა, რომ 2003 წელს დემონსტრანტები მოითხოვდნენ მის გადადგომას და გამოვიდნენ ქუჩებში იმის საწინააღმდეგოდ, რომ, როგორც ამტკიცებდნენ, არჩევნების შედეგები გაყალბებული იყო და იერიშით აიღეს პარლამენტის შენობა. „როდესაც შეიარაღებული ხალხი შეიჭრა პარლამენტის შენობაში, მე მოქმედებათა ორი ვარიანტი მქონდა, – გვიამბობს შევარდნაძე. – მე ჯერ კიდევ ვიყავი პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი და შემეძლო ძალის გამოყენება, მაგრამ მაშინ დაიღვრებოდა სისხლი. მეორე ვარიანტი იყო გადადგომა. მეორე ავირჩიე და მშვიდობიანი გზით დავტოვე ჩემი პოსტი“.

სხვათა შორის, არის სხვა, არცთუ ამდენად სახეირო ვერსია ამ მოვლენებისა შევარდნაძისთვის. მაგალითად, სააკაშვილი მაშინ ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტს არ შეეძლო, ჰქონოდა ჯარების ლოიალობის იმედი დემონსტრაციების დარბევის შემთხვევაში, ხოლო, როდესაც იგი შეეცადა ქვეყნიდან გაქცევას, პროტესტანტებმა დაბლოკეს აეროპორტი.

შევარდნაძემ, რომელმაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა ცივი ომის დროის კონფრონტაციის დასრულებაში სსრ კავშირის ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნისას, სამშაბათს გააკრიტიკა საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი – რუსეთიც. როდესაც იგი ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა თბილისში, მასაც ჰქონდა მწვავე აზრთა სხვადასხვაობა მოსკოვთან. მაგრამ, შევარდნაძის სიტყვებით, მან შეძლო შეენარჩუნებინა კარგი ურთიერთობა რუსეთთან – აი მისმა მემკვიდრემ კი ამ ამოცანას თავი ვერ გაართვა.

ქართველების უმრავლესობა ბრალს სდებს სააკაშვილს იმაში, რომ შარშან აგვისტოში მან ქვეყანა ჩაითრია რუსეთთან კატასტროფულ ომში, როდესაც გასცა ბრძანება სეპარატისტულ რეგიონ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის შესახებ, რათა დაებრუნებინა თბილისისთვის მასზე კონტროლი. ხუთი დღის განმავლობაში რუსეთის ჯარებმა გაანადგურეს საქართველოს შეიარაღებული ძალები; მოგვიანებით მოსკოვმა აღიარა სამხრეთ ოსეთის და მეორე მეამბოხე პროვინციის – აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

„რუსეთის ხელმძღვანელობამ დაუშვა სერიოზული შეცდომა, როდესაც აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, – მიიჩნევს შევარდნაძე. – ამით მოსკოვმა შექმნა მიუღებელი პრეცედენტი, რასაც შეიძლება მოჰყვეს თვით რუსეთისთვის არასასურველი შედეგები“.

**კატრინა სტიუარტი,**
**მიშა ჯინჯიხაშვილი**

Los Angeles Times

# ქართული ოპოზიცია ორი გზით წავა

**ქართულ ოპოზიციაში სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა მოქმედებათა ტაქტიკის გამო – ეს პირველად აღიარეს გუშინ თავად ოპოზიციის ლიდერებმა.** ოპოზიციის ერთი ნაწილი გამოდის მიხეილ სააკაშვილის „ეტაპობრივი წასვლის“ მხარდაჭერით, მეორე – მხარს უჭერს გადამჭრელ ზომებს მისი დაუყოვნებლივი გადადგომის მოთხოვნით. თუ ხელისუფლება უარს იტყვის სამხედრო პარადის მოწყობაზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს – 26 მაისს, რადიკალურ ოპოზიციას რჩება ლამის ერთადერთი გამოსავალი გამწვავების თამაშში – ქვეყნის მთავარი მაგისტრალების ბლოკადა. ეს კი უსათუოდ მიგვიყვანს ხელისუფლების მიერ ძალის გამოყენებამდე.

აზრთა სხვადასხვაობის არსებობის შესახებ ოპოზიციის ხელმძღვანელობაში გუშინ გულღიად განაცხადა საქართველოს პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა, ამჟამად კი პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ. „მე მაქვს მოქმედებათა ჩემეული გეგმა. ეს არის აქტიური, მკვეთრი და ამავე დროს მხოლოდ კონსტიტუციურ მოქმედებათა გეგმა და განზრახული მაქვს ვიმოქმედო ჩემს მომხრეებთან ერთად სწორედ ამ გეგმით, – განუცხადა მან ჟურნალისტებს თბილისში. – ის ძალები კი, ვისაც აქვთ სხვა გზა და სხვა გეგმები, იმოქმედებენ თავიანთი გეგმის შესაბამისად“.

ქალბატონ ბურჯანაძის განცხადებამ დაადასტურა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ „სულ უფრო თვალსაჩინო ხდება აზრთა სხვადასხვაობა ოპოზიციის რიგებში“. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, მისი ნაწილი (ალიანსის „საქართველოსთვის“ ლიდერი ირაკლი ალასანია და პარტია „ეროვნული ფორუმის“ ხელმძღვანელი კახა შარტავაძ მოითხოვს „სააკაშვილის ეტაპობრივ წასვლას და ეტაპობრივ დათმობებს მისი მხრიდან“. მეორე ნაწილი (ნინო ბურჯანაძე და პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი ეკა ბესელიაძ მოითხოვს „რადიკალურ ნაბიჯებს სააკაშვილის გადადგომისთვის“.

გუშინ ქალბატონმა ბურჯანაძემ გაამჟღავნა თავისი გეგმის ზოგიერთი დეტალი. „ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის პიკეტირებას და კვლავ ვაიძულებთ პირველი არხის ყველა ჟურნალისტს გაიარონ „დერეფანი“, რომ მათ რცხვენოდეთ იმისა, რასაც იქ აკეთებენ“, – განაცხადა ექს-სპიკერმა. ეს განცხადება იყო პირდაპირი გამოწვევა ხელისუფლებისადმი არცთუ დიდად ლოიალური ჟურნალისტების მისამართით. ამ დღეებში მიხეილ სააკაშვილმა ხომ გააფრთხილა ოპოზიციის ლიდერები, რომ „ხელისუფლება არ დაუშვებს, რათა ოპოზიცია დასცინოდეს ჟურნალისტებს და უწყობდეს მას „სირცხვილის დერეფანს“.

ოპოზიციის ლიდერებისთვის ერთგვარი ტესტი გახდება 26 მაისი, როდესაც საქართველოში აღინიშნება მთავარი სახელმწიფო დღესასწაული – დამოუკიდებლობის დღე. ამ დღისთვის ხელისუფლება აპირებდა გაეთავისუფლებინა თბილისის ცენტრი ოპოზიციონერებისგან, რომ მოეწყო იქ ტრადიციული სამხედრო ალღუმი. პასუხად ოპოზიციამ (უწინარეს ყოვლისა მისმა რადიკალურმა ნაწილმა) შეიმუშავა მოქმედებათა თავისი გეგმა. „ამ დღეს ჩვენ მოვაწყობთ ჩვენს ალღუმს“, – განაცხადა გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ. – რუსთაველის პროსპექტი მთლიანად დაკავებული იქნება ჩვენი მომხრეებით – სააკაშვილი იქ ვერ გამოჩნდება. ჩვენ შევაგროვებთ 100 ათას კაცს მთავარ სტადიონზე და გავემართებით უზარმაზარი კოლონით პროსპექტის გავლით.

ამის შემდეგ ხელისუფლებამ დაიწყო საუბარი აღლუმის მოწყობის შესახებ სხვა ადგილას. „შეიძლება შერჩეული იქნეს სხვა ადგილი. მთავარია, რომ ალღუმი მაინც გაიმართოს, – განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა. – ჩვენთვის მთავარია, არ დავუშვათ შეჯახება ჩვენს მომხრეებსა და ოპოზიციას შორის“.

ხელისუფლების გეგმის შეცვლას უმალვე გამოეხმაურა ოპოზიცია. „თუ სააკაშვილი შეეცდება გამართოს ალღუმი, ვთქვათ, სანაპიროზე, ჩვენ წავალთ იქ და ჩავშლით ამ ღონისძიებას, – განაცხადა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თინათინ ხიდაშელმა. – სააკაშვილს არ აქვს უფლება – მიიღოს პარადი, ვინაიდან მან გაყიდა არმია ომის დროს აგვისტოში და გაყიდა იგი რამდენიმე დღის წინათაც, როდესაც ბრალი დასდო ბიჭებს, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ რუსი აგრესორების წინააღმდეგ, თითქოსდა ისინი აპირებდნენ თბილისში შემოსვლას რუსებთან ერთად“.

შედეგად, თბილისის მერმა გიგი უგულავამ არ გამორიცხა, რომ სამხედრო ალღუმი თბილისში 26 მაისს შეიძლება არც კი გაიმართოს – „რათა არ მიეცეს რადიკალურ ოპოზიციას საბაბი პროვოკაციებისა და ვნებათა ღელვისთვის“. „ზოგიერთი ოცნებობს იმისთვის, რომ გამოვიყენოთ ძალები, რისთვისაც, სხვათა შორის, გვაქვს სრული უფლება“, – განაცხადა თბილისის მერმა. იგივე თეზისი გამოთქვა საქართველოს პარლამენტის სპიკერმა დავით ბაქრაძემაც. „ხელისუფლებისთვის მთავარია არა სამხედრო ალღუმი, არამედ ქვეყანაში სამოქალაქო სიმშვიდის შენარჩუნება და ნებისმიერი პროვოკაციის გამორიცხვა“, –თქვა მან. თუ ხელისუფლება მართლაც უარს იტყვის ალღუმზე, რადიკალურ ოპოზიციას რჩება, ალბათ, ერთადერთი ნაბიჯი გამწვავებისთვის – საქართველოს მთავარი მაგისტრალების ბლოკადა.

**გიორგი დვალი,**
**გენადი სისოევი**

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**სომალიელმა მეკობრეებმა რეკორდი დაამყარეს: ხუთ თვეში გაძარცვეს უფრო მეტი, ვიდრე მთელი 2008 წლის განმავლობაში**

მაისის დასაწყისისთვის მეკობრეებმა 114 თავდასხმა მოაწყეს, რომელთაგან 29 წარმატებული იყო – შარშანდელი 111 თავდასხმისა და 42 ხელში ჩაგდების ნაცვლად. მძევლებად უკვე აყვანილია 478 კაცი შარშანდელ 815-თან შედარებით.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აგრძელებს დასავლეთთან დავას: 4 ივნისს გაასამართლებენ ამერიკელ ჟურნალისტ ქალებს**

ამერიკელი ჟურნალისტების დაშინებით ფხენიანი, ალბათ, ცდილობს მიაღწიოს ვაშინგტონის მხრიდან დათმობას. ადრე ჩრდილოეთ კორეა იმუქრებოდა, რომ კვლავ გამოცდიდა ატომურ ბომბს და უარი თქვა მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე ბირთვულ განიარაღებასთან დაკავშირებით.

* * *



**ნატო ყაზახეთს სთავაზობს, მიიღოს მონაწილეობა ავღანეთის ოპერაციაში**

ჯერჯერობით ყაზახეთი ამ წინადადებაზე კომენტარებს არ აკეთებს. ყაზახეთის არმია შეესაბამება დასავლურ სტანდარტებს, ქვეყანა კი დაინტერესებულია ავღანელ ექსტრემისტებთან ბრძოლით.

* * *

**პერუს ჩრდილოეთში ავტობუსი უფსკრულში გადავარდა, დაიღუპა 26, დაჭრილია 18 კაცი**

ავტობუსი 50-ზე მეტი მგზავრით 100 მეტრის სიმაღლიდან ჩავარდა უფსკრულში. პოლიციის ცნობით, დაღუპულთა შორის უცხოელები არ არიან. მგზავრების ვერსიით – მძღოლს საჭესთან ჩაეძინა. შეიძლება ავარიის მიზეზი ნისლი გახდა.



* * *

**პენტაგონმა 2010 საფინანსო წლისთვის თავდაცვის რაკეტსაწინააღმდგო სისტემის შექმნის ბიუჯეტი შეამცირა 1,2 მილიარდი დოლარით**

ამის შესახებ განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა წარმომადგენელთა პალატის კომიტეტში, რომელიც განიხილავდა საკითხს ქვეყნის თავდაცვის სახსრების შემცირების შესახებ, რაც განზრახული აქვს ობამას ადმინისტრაციას. მთლიანად თავდაცვის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის მიზნებისთვის გეიტსი მოითხოვდა გამოეყოთ 7,8 მილიარდი დოლარი.



მოსავალი

***საქართველოში, სამწუხაროდ, საოცარი თანმიმდევრულობით მცირდება მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების მოცულობა. თუ 1990 წელს მარცვლოვანი კულტურები 121,3 ათას ჰექტარზე იყო დათესილი, 2007 წელს — მხოლოდ 55 ათას ჰექტარზე დაითესა.***

***ის ინფორმაციაც გავრცელდა, „საქართველოს ბეღლად“ წოდებული შირაქის ველი უცხოურმა კომპანიამ შეისყიდაო. ხომ არ დავრჩებით მხოლოდ იმპორტული ხორბლისა და ფქვილის amara? სადამდე მიგვიყვანს მარცვლოვანი კულტურებისადმი ასეთი, უკაცრაული პასუხია, დამოკიდებულება?***

# მაცოცხლებელი წვიმა ენატრება ქიზიყის მიწას...



## თუმცა საკითხავია, რა უფრო მეტად ვნებს ნათესებს — გვალვა თუ ის „დაგვალული“ დამოკიდებულება, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება იჩენს მარჩენალი მიწისა და, საერთოდ, სოფლის მეურნეობისადმი

**კობა ხუციშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკი:** — თანამედროვე ცხოვრების სწრაფი დინამიკა და ხშირად არასტაბილური გარემო ქვეყნებს აიძულებს, იფიქრონ სტრატეგიული პროდუქციის რეზერვის შექმნის აუცილებლობაზე. ერთ-ერთი ასეთი პროდუქტია ხორბალი. ეს აუცილებელია თუნდაც იმისთვის, რომ იმ ქვეყნებში, საიდანაც იმპორტი ხორციელდება, ადვილი შესაძლებელია მოუსავლიანი წელიწადი იყოს, ან მოხდეს სტიქიური უბედურება, სამხედრო ამბოხი თუ სხვა ფორსმაჟორული მოვლენა. რა ქნან ამ შემთხვევაში იმპორტიორებმა? სხვა მომწოდებლის მოსაძებნად და მათთან მოსალაპარაკებლად ხომ თვეებია საჭირო? სწორედ ასეთი შემთხვევისთვისაა აუცილებელი რეზერვი მოსახლეობის პურით უზრუნველყოფისთვის.

ამ საკითხებით აუცილებლად სახელმწიფო სტრუქტურა უნდა ინტერესდებოდეს, რადგან საამისო საშუალებები სწორედ მას აქვს. სინამდვილეში როგორია ჩვენთან საქმის მდგომარეობა? ყველასთვის ცნობილია, რომ ბოლო წლების განმავლობაში თანდათანობით, მიზანმიმართულად მცირდება ხორბლის ნათესები, იკლებს საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობაც. ამიტომ, თუ დეფიციტი შეიქმნა, იმპორტული ფქვილი შემოაქვთ, რაც მწარმოებელ ქვეყანას მომხმარებელ ქვეყნად გადაქცევას უქადის. ამასთან, საქმისადმი ამგვარი მანკიერი დამოკიდებულების გამო, დაუსაქმებელი რჩება ადგილობრივი მოსახლეობა, რომლის უდიდესი ნაწილი პოტენციურ მიგრანტებად შეიძლება იქცეს...

**ირაკლი დვალი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:** ხორბლის წარმოება წინსვლის ნაცვლად უკან-უკან მიდის. მით უმეტეს, საწყენია, რომ ასეთი მდგომარეობაა ჩვენთან, ქვეყანაში, სადაც შესანიშნავი ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი პირობებია ამ კულტურის მოსაყვანად.

როგორც ამ დარგის სპეციალისტი, ვფიქრობ, რომ აგროტექნიკის სრული დაცვისა და მეცნიერული აზრის გამოყენების პირობებში ჩვენთან 700-750 ათასი ტონა ხორბალი შეგვიძლია ვაწარმოოთ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერულ მიღწევებს არავითარი ყურადღება არ ექცევა, ისინი, უბრალოდ, იგნორირებულია.

ამასწინათ შესაძლებლობა მომეცა, ჩამეხედა სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2009 წლის სამოქმედო პროგრამაში: ჩემდა სამწუხაროდ, მასში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი ხორბლის წარმოების გაზრდის თაობაზე. იძულებული გავხდი, **ამის შესახებ წერილით მიმემართა სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელისთვის. შევეცადე ამეხსნა, რომ აუცილებელი იყო სამინისტროში ქვეყანაში ხორბლის წარმოების გაზრდის სპეციალური პროგრამის შემუშავება. ისევ დუმილი და არავითარი დაინტერესება.**

სავალალოა, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული 800 ათასი ჰექტარი სახნავი მიწებიდან პრაქტიკულად იხვნება და ითესება 300 ათასი ჰექტარამდე ნაკვეთები, **ამიტომ, რომ ჩვენს ბაზრებში ჭარხალი და სტაფილო სომხეთიდან, კარტოფილი, ხახვი, პამიდორი თურქეთიდან, ნიორი საბერძნეთიდან, ლობიო კი უზბეკეთიდან შემოაქვთ.**

დღეისათვის, როგორც ამბობენ, ხორბლით დათესილი ფართობების ნახევარი უკვე განადგურებულია. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ინფორმაცია, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ მოსავალს წლეულს კარგი პირი არ უჩანს.

**სიმართლის დასადგენად მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგურის ხელმძღვანელს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, პროფესორ ვლადიმერ ქევხიშვილს დავუკავშირდი სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკაში.**

— დიახ, კახეთში გვალვაა, — თქვა მან, — ნათესებს უწყლობის გამო ძალიან უჭირს. ამიტომ მდგომარეობა მეტად სერიოზულია.

გვალვამ ჯერჯერობით ყველაზე მეტად დააზიანა საშემოდგომო ხორბლისა და ქერის ნათესები, მაგრამ თუ ნალექების ნაკლებობა კვლავ გაგრძელდება, იგი სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა უბანს შეეხება. უკვე განვლილია ნათესების ზრდა-განვითარების ყველა ფაზა, 15-25 სმ-ის სიმაღლის მცენარეები დათავთავების ფაზაში იმყოფებიან და, შეიძლება ითქვას, რომ დასრულებული აქვთ სასიცოცხლო ციკლი, ასაკობრივად უკვე მობერებული არიან და ფაქტობრივად ზრდაში მატება უკვე შეჩერებულია.

**ამჟამად, მაისის პირველი დეკადის ბოლოსთვის ნათესების მდგომარეობა კრიტიკულია და ზოგადი შეფასებით უმოსავლო და დაბალმოსავლიანია.** გადაუდებლად საჭიროა დაზიანებული ფართობების კვალიფიციური შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დასახვა.

რა თქმა უნდა, კულტურათა მოსავლიანობა ჯერ კიდევ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ამინდები იქნება ამ დღეებში, მაგრამ დღეს უკვე **შეიძლება ითქვას, რომ თავთავიანი კულტურების მოსავლიანობა საგრძნობლად მცირე იქნება.** ამოცანა ის არის, რომ მარცვლის მწარმოებლები ჯეროვნად მოემზადონ და შემოსული მოსავალი აუცილებლად უდანაკარგოდ აიღონ. სერიოზული პრობლემა იქნება უხეში საკვების საკმარისი ოდენობით დამზადებაც.

**— ბატონო ვლადიმერ, გვალვის გარდა სხვა ხელშემშლელ მიზეზად რას დაასახელებდით?**

— შეიძლება ითქვას, რომ სამუშაოთა არადროულმა და უხარისხოდ შესრულებამაც საკმაოდ ავნო ნათესებს. გონიერმა მეურნემ არ უნდა დაივიწყოს, რომ აგროტექნიკურ სამუშაოთა თავის დროზე შესრულება და მორწყვის თანაბრად განაწილება უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია, თუმცა გვალვის საწინააღმდეგოდ ყველაზე ეფექტური საშუალება ნათესებისა და ნარგავების რწყვაა. ნორმალურად მოწესრიგებული სარწყავი ტერიტორია არ გრძნობს გვალვის უარყოფით შედეგებს. ამიტომ აუცილებელია, მუდმივ მზადყოფნაში იყოს შემორჩენილი სარწყავი ქსელები, მათ შორის მცირე მელიორაციის საშუალებებიც, რასაც ჩვენ მოკლებულები ვართ.

**— თესლის პრობლემაც ხომ არ იქნება?**

— მოსავლიანობის სიმცირის გამო, ბუნებრივია, თესლის პრობლემაც წარმოიქმნება, რაზედაც ზრუნვა აქედანვეა საჭირო. **თესლის ხარისხისადმი ყურადღების შესუსტება სერიოზულ შეცდომად მიმაჩნია.**

ბოლოს, ერთიც მინდა დავამატო — სოფლის მეურნეობის ნაციონალური ამოცანა მარცვლეული მეურნეობის განვითარებას მოითხოვს. **საქმე ეხება იმ შესაძლებლობათა სრულად და გონივრულად გამოყენებას, რაც ქვეყანას აქვს. აქვე დავსძენ, რომ ამისათვის უპირველესად პოლიტიკური ნებაა საჭირო.**

**დიახ, პოლიტიკა და ეკონომიკა ჩვენს ქვეყანაში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ორივე ერთმანეთს ავსებს. მით უფრო სამწუხაროა, რომ დღეისთვის ჩვენთან როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კრიზისია.**

**კახელი მეურნე კი ცას კვლავ უიმედოდ შეჰყურებს, ყველაფერი გახმა და გადაიწვა... მაცოცხლებელი წვიმა ენატრება ქიზიყის მიწას...**

**თუმცა რომელი წვიმა უშველის იმ „დაგვალულ“ პოლიტიკასა და დამოკიდებულებას, მარჩენალი მიწისა და, მთლიანად, სოფლის მეურნეობისადმი რომ იჩენს ჩვენი ხელისუფლება?!**

ნაზი იმნაიშვილი

---

საქმე №3/21

# განჩინება

## საქართველოს სახელით

### საჯარო შეტყობინების შესახებ

**23 მარტი, 2009 წელი** **ქ. ქუთაისი**

**ქუთაისის საქალაქო სასამართლო**
**მოსამართლე ციცინო კიკვაძე**

**მოსარჩელე** — საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
**წარმომადგენელი** — ვახტანგ ჯორბენაძე
**მოპასუხე** — ნანული ესართია
**დავის საგანი** — მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 2 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შემოვიდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება ნანული ესართიას მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სასარჩელო განცხადება და თანდართული დოკუმენტები ვერ ჩაბარდა მოპასუხეს, რადგან იგი არ იმყოფება თავის საცხოვრებელ ადგილზე (მის. ქ. ქუთაისი, ნიკეას №19/97ძ

**სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ მოხერხდა, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ამავე მუხლის მესამე ნაწილით სასამართლო უწყება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-285-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

1. საჯარო შეტყობინების გზით გავრცელდეს, რომ 2009 წლის 2 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შემოვიდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება ნანული ესართიას მიმართ მიყენებული ზიანის, ჯარიმის და პირგასამტეხლოს ანაზღაურების შესახებ.
2. საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან 7 (შვიდ) დღეში სასარჩელო განცხადება და თანდართული მასალები ჩაბარებულად ითვლება.
3. გაზეთში საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
4. განჩინება არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე**
**ციცინო კიკვაძე**

---

ინფორმაცია

## „აქ ცხოვრობს დამნაშავე“

**„9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის“ წარმომადგენლები თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის სახლთან, მოსეშვილის 10 ნომერში გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს.**

**ახალგაზრდებმა გივი თარგამაძის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან გააკეთეს წარწერები — „აქ ცხოვრობს დამნაშავე“; ასევე გააკრეს პლაკატი, — „არ შეგრჩებათ“.**

**როგორც ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაჩი ცაგურია აცხადებს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლების წევრებმა კორუფციული გზით მოახერხეს უამრავი ქონების დაგროვება, მათ შორის, თარგამაძის მეუღლე 70 ათასი დოლარის ღირებულების ავტომანქანით დადის.**

**— ეს არის აქცია სახელწოდებით „არ შერჩებათ“. დავიწყეთ კამპანია და ჩვენ მივალთ ყველას სახლთან, — აღნიშნა დაჩი ცაგურიამ.**

**ჯაბა ჯიშკარიანი კი აცხადებს, რომ გივი თარგამაძე არის ზონდერბრიგადების ერთ-ერთი დაჯგუფების მეთაური და სწორედ ის არის ადამიანი, რომელმაც აწამებინა და მოაკვლევინა სანდრო გირგვლიანი.**

ინტერპრესნიუსი

## კალათბურთი

# პირველი ნაბიჯი



**რუსთავის „ენერჯი ინვესტმა“ შთამბეჭდავად დაიწყო ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის დაცვა. დავით უსტიაშვილის გუნდმა სუპერლიგის ფინალური სერიის პირველი მატჩი საკუთარ დარბაზში გათამაშების დებიუტანტ „სასოფლოს“ მოუგო – 104:59.**

მართალია, გადამწყვეტი შეხვედრა საფუძვლიან რეცენზიას იმსახურებს, მაგრამ მასპინძელთა სოლიდური უპირატესობის გამო ამჯერად სათქმელი ბევრი არაფერია.

მხოლოდ იმას გაუწყებთ, რომ გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანად ზვიად ბაზიაშვილმა ითამაშა – 19 ქულა.

**შეგახსენებთ, რომ დასკვნითი რაუნდი სამ მოგებამდე გაგრძელდება.**

## ახალ ამპლუაში

# ჰოლანდიიდან – გერმანიაში

**მაშინ, როცა განთქმულ უცხოელ სპეციალისტებს ეროვნულ ნაკრებში ვიწვევთ და მათი მადის დასაკმაყოფილებლად მილიონებს ვყრით წყალში, ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულენი თანდათან იმაღლებენ კვალიფიკაციას და უკვე წარმატებებსაც აღწევენ ახალ ამპლუაში.**

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში ომახიანი სიტყვა მოკრძალებულმა კვიპროსულმა კლუბმა „ანორთოსისმა“ თქვა, რომლის თავკაცს თემურ ქეცბაიას, ალბათ, მალე დააწინაურებენ და ამბიციური ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ გაძღოლას დააკისრებენ.



და აი, მორიგი საგულისხმო ფაქტი: ამ დღეებში ლუის ვან გაალმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა მიუნხენის „ბაიერნთან“, 1 ივლისიდან კი, როცა ჰოლანდიელი ბავარიული გიგანტის გაწვრთნას დაიწყებს, მისი ერთ-ერთი თანაშემწე შოთა არველაძე გახდება. დაგვეთანხმებით, საქართველოს ეროვნული ნაკრების საუკეთესო ბომბარდირისთვის, რომელმაც ფეხბურთელის კარიერა შარშან დაასრულა, ეს დიდი პატივია.

ალბათ, არც იმას უარყოფს ვინმე, რომ ვან გაალის დონის მწვრთნელთან თანამშრომლობა, რომელიც ამას წინათ ჰოლანდიაში „ალკმაარის“ გაჩემპიონებით დაგვირგვინდა, „ტყუპის“ პროფესიულ დაოსტატებაზე მხოლოდ დადებითად აისახება, პერსპექტივაში კი, „ქეცბასი“ არ იყოს, იგი „ჯვაროსანთა“ დამრიგებლადაც შეგვიძლია მოვიაზროთ.

და ბოლოს, მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ლუის ვან გაალის დამსახურებათა ნუსხას.

**„აიაქსი“:** მოიგო ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი, უეფას სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი და სამჯერ – ჰოლანდიის ჩემპიონატი.

**„ბარსელონა“:** მოიგო უეფას სუპერთასი, ესპანეთის „სამეფო თასი“ და ორჯერ – პრიმერადივიზიონი.

## ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**სეზონის მიწურულს მთელ რიგ ქვეყნებში, ტრადიციისამებრ, ეროვნული თასის მფლობელთა ვინაობა გაირკვა.**

**ესპანეთი. „ბარსელონა“ – „ბილბაო“ 4:1. გოლები:** ტურე, მესი, კრკიჩი, ხავი; ტაკერო.



ამ წყვილში გამარჯვებულის გამოცნობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, თუმცა თასი მაინც თასია და, ხომ იცით, ეშმაკს არ სძინავს, მით უმეტეს მაშინ, როცა მეტოქე ისეთი კერკეტი კაკალია, როგორიც ბასკური კლუბი.

სხვათა შორის, ანგარიში სწორედ „წითელზოლიანებმა“ გახსნეს და, საერთოდაც, ისინი შესვენებამდე ღირსეულად გამოიყურებოდნენ, რაც საპატიო შედეგით – 1:1 გამოიხატა.

ის, რაც მეორე ტაიმის ათწუთიან მონაკვეთში მოხდა, წლეულს კატალონიური გრანდის მრავალმა მოწინააღმდეგემ იგემა და, მოდით, ჩაფლავებული სანახაობის გამო მკაცრად ნუ განვსჯით ბასკებს.



დავსძენთ, რომ ვალენსიის „მესტალიას“ სტადიონზე გამართულ ფინალურ მატჩში ფავორიტს ტრავმირებული ინიესტა, მარკესი და ანრი აკლდა, რასაც მისთვის ხელი არ შეუშლია სამეფო თასი ოცდამეხუთედ მოეპოვებინა. წინ პრიმერადივიზიონის „ოქროს ფინიში“ და ჩემპიონთა ლიგის ფინალია.

**იტალია. „ლაციო“ – „სამპდორია“ 1:1. გოლები:** სარატე; პაცინი. პენალტებით – 6:5. ეს რომაელთა მეხუთე სათასო ტრიუმფია.

**თურქეთი. „ბეშიქთაში“ – „ფენერბახჩე“ 4:2.**

**პოლონეთი. „შლიონსკი“ – „ოდრა“ 1:0.**

**ხორვატეთი. ზაგრების „დინამო“ – „ჰაიდუკი“ 3:0.**

**უნგრეთი. „ფეჰერვარი“ – „პეჩი“ 3:1.**

**ინგლისი. გამოტოვებული მატჩი. „უიგანი“ – „მანჩესტერი“ 1:2.**

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ – 86, „ლივერპული“ – 80, „ჩელსი“ – 77 ქულა.

**შემდეგი ტური:** „მანჩესტერი“ – „არსენალი“, „ვესტ ბრომვიჩი“ – „ლივერპული“, „ჩელსი“ – „ბლექბერნი“.

**გერმანია. XXXII ტური.** „ვოლფსბურგი“ – „ბორუსია“ 3:0, „ბაიერნი“ – „ლევერკუზენი“ 3:0, „კიოლნი“ – „ჰერტა“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვოლფსბურგი“, „ბაიერნი“ – 63-63, „ჰერტა“ – 62 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ჰანოვერი“ – „ვოლფსბურგი“, „ჰოფენჰაიმი“ – „ბაიერნი“, „ჰერტა“ – „შალკე“.

**საფრანგეთი. XXXV ტური.** „ნიცა“ – „მარსელი“ 0:2, „ვალანსიენი“ – „ბორდო“ 1:2, „ლიონი“ – „ნანტი“ 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მარსელი“, „ბორდო“ – 71-71, „ლიონი“ – 64 ქულა.

**შემდეგი ტური:** „მარსელი“ – „ლიონი“, „ბორდო“ – „ლე მანი“.

## ფორმულა-1

# მსოფლიო ჩემპიონატი ჩაიშლება?

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ავტორბოლის „ფორმულა-1“ ერთ-ერთი ფავორიტი, იტალიური „ფერარი“ არ აპირებს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას, თუ FIA-ს ხელმძღვანელობა მაქს მოსლის თავკაცობით არ შეცვლის ამასწინანდელ გადაწყვეტილებს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ბიუჯეტების შემცირების შესახებ.**

გუშინვე ვწერდით, რომ „ფერარელების“ გადაწყვეტილებას იზიარებდნენ „რედ ბული“ და „ტოიოტა“. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ამ სამ საჯინიბოს შეუერთდა „რენოც“. აღსანიშნავია, რომ „დიდი პრიზებიდან“ წასვლა გადაწყვიტა არა მარტო გუნდმა, არამედ მისმა ხელმძღვანელობამაც. თუმცა ფრანგებს ცოტა განსხვავებული მოტივი გააჩნიათ – ისინი თუმცა იწონებენ ფედერაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას ძალზე გაბერილი ბიუჯეტების შემცირების თაობაზე, მაგრამ მკვეთრად ილაშქრებენ



იმის წინააღმდეგ, როგორადაც ფედერაცია თავს ახვევს გუნდებს (ყოველგვარი შეთანხმების გარეშე) თავის მოსაზრებას.

როგორც ფრანგული პრესავარაუდობს, მალე ასეთსავე განცხადებას გააკეთებს ზოგიერთი სხვა გუნდიც.

## უეფას თასი

# გულშემატკივრები სტამბოლისკენ მიისწრაფიან



**ფეხბურთის მოყვარულები მოუთმენლად მოელიან ევროპული ფეხბურთის ორ უმნიშვნელოვანეს მატჩს – ჩემპიონთა ლიგის ფინალს რომში – „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ბარსელონა“, ხოლო უეფას თასის ფინალს სტამბოლში – „შახტარი“ – „ვერდერი“.**

უკრაინაში დაიწყო 7,5 ათასი ბილეთის გაყიდვა „შახტარის“ გულშემატკივრებისთვის. ბილეთების ფასი სტადიონ „შუქრიუ სარაჯოღლუზე“ სექტორების მიხედვით იქნება 45-დან 75 ევრომდე. ბილეთის შესაძენად საჭიროა საზღვარგარეთის პასპორტის ასლისა და შევსებული ანკეტის წარმოდგენა. ტურსააგენტოები თვითმფრინავით იქით და უკან გადაფრენისთვის 320-დან 500 დოლარამდე თხოულობენ. ავტობუსით მგზავრობა კი 150-200 დოლარი დაჯდება, მაგრამ დამატებით საჭიროა ბულგარეთის სატრანზიტო ვიზაც.

## ინტერნეტიდან

### ნორჩი მოგზაური დედამიწის გარშემო



**ავსტრალიელმა ჯესიკა უოტსონმა, ამ დღეებში 16 წელი რომ შეუსრულდა, გადაწყვიტა, გახდეს ჩვენი პლანეტის ყველაზე ნორჩი მცხოვრები, რომელმაც დედამიწას მარტოდმარტომ იახტით გარშემო შემოუარა.** ჯესიკას უკვე აღმოუჩინეს მორალური მხარდაჭერა 59 წლის ქალბატონმა კეი კოტიმ – ისტორიაში პირველმა ქალმა, დედამიწას რომ შემოუარა და 28 წლის ჯესი მარტინმა, რომელმაც დედამიწის გარშემო იახტით 17 წლისამ იმოგზაურა, და ამით დაამყარა აქამდე დაუმხობელი რეკორდი.

### ხორვატთა კვალდაკვალ

**ხორვატი მოდელი ივა იორკოვიჩი იტალიისკენ მიმავალი ლამაზმანების კვალს დაადგა. ცნობილია, რომ აპენინებზე ორი მთავარი გატაცებაა – ფეხბურთი და ქალები. ამიტომაც უცნაური არაა, რომ თითქოს მაღალი მოდით მიზიდული ქალიშვილები ბედნიერებას იტალიელი სპორტსმენების ჩახუტებაში პოულობენ.**

იორკევიჩიც, იტალიაში რომ ჩავიდა, ცნობილი მხოლოდ მოდელად მუშაობით და ტელეშოუთი როდი გახდა. მთავარი ისაა, რომ ლამაზმანი ხშირად დადის „მილანის“ მატჩებზე, რათა უქომაგოს თავის თანამემამულეს, მცველ დარიო შიმიჩს. თუმცა ბოლო ხანებში ხორვატი ფეხბურთს თითქმის აღარ თამაშობს, მაგრამ ეს ივას ხელს როდი უშლის „სან-სიროზე“ სიარულში. მისი თქმით, დარიო მისი თანამემამულეცაა და მეგობარზე უფრო მეტიც.



ბადრი ქუთათელაძე – 60

# მზიანი გულის პოეტი

**ეს ამ ორიოდე დღის წინათ იყო – რედაქციაში ჩვენი საყვარელი პოეტი ბადრი ქუთათელაძე გვესტუმრა.**

**თეთრწვერა, გულმნათი ბადრის გამოჩენაზე მთელი რედაქცია გაიბადრა. სკამებიდან წამოვიშალენით (იმის მიუხედავად, რომ „სამშობლოდან“ გამოყრის შემდეგ ჩვენთან სკამი ძნელი საშოვნელია!), სიყვარულით გადავკოცნეთ, საიუბილეო 60 წელი მივულოცეთ და ავანსად ერთი ამდენი კიდევ ვუსურვეთ...**



– უბედნიერესი კაცი ვარ, რომ ქართველი ვარ, – თქვა პოეტმა, – მიყვარს ჩემი სამშობლო და სულით, ხორცით, კალმით მის მსახურად ვრაცხ თავს. ღმერთო მაღალო, თავისუფლება და მაღალი სულიერება არ მოაკლო ჩემს ტანჯულ ქვეყანას!

ამ სიტყვებში კიდევ ერთხელ გამჟღავნდა შემოქმედის მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი, მამულიშვილური სიწრფელე, სიყვარული, ერთგულება მშობლიური ქვეყნისა და ხალხისადმი, რაც ასე მოჭარბებულად გასდევს მთელ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. და მე ანაზდად გამახსენდა პოეტის მეგობრის ზურაბ ქაფიანიძის ლამაზად და ღონივრად ნათქვამი: „ბადრის სამშობლოს სიყვარულით დაად გულიც და კაცობაც. არასოდეს ყვირის და ცხაროზს, მაგრამ სამშობლო მარად გულზე ახატია“.

ეს გამოჩნდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა გაზეთ „ახკომის“ ლიტერატურული დამატების „ირმის ნახტომის“ ფურცლებზე ახალგაზრდა შემოქმედის პირველი ლექსები დაისტამბა და ეს გრძელდება ახლაც, როცა უკვე ჭარმაგმა პოეტმა ათეულწლობით ნალვაწი პოეზიის კალოზე თავთუხივით დაახვავა. აქედან დიდ და შთამბეჭდავ ძნებად შეიკრა ბადრი ქუთათელაძის პოეტური კრებულები: „სარკმელი“, „ეს ზამთარიც ჩაილია“, „შენზე მიოცნებია“ და სხვები, რომლებიც მკითხველმა გულთან ახლოს მიიტანა და შეიყვარა.

მე, როგორც ერთ-ერთ ასეთ მკითხველს, რა მომწონს უპირველესად ბადრის პოეზიაში? ფხიანი და ფრთიანი სიტყვა, უბრალოება, სიმართლე, სიწრფელე, საამქვეყნო ყივილი, მუხლჩაუხრელობა და უდრეკობა ცხოვრებისეული ვნება-ტკივილების მიმართ. ჯერ არავის გვინახავს ბადრი ქუთათელაძე დაღლილი და იმედგადაწურული, მისი ომახიანი სიტყვა და ოპტიმიზმი სამაგალითო და გადამდებია ყველა ჩვენგანისთვის.

ნიშანდობლივია, რომ ბადრი ქუთათელაძის პოეზია ხალხმა სიმღერად აიტაცა, მის საუკეთესო ლექსებზე ქართველმა კომპოზიტორებმა მშვენიერი სიმღერები შექმნეს, ხოლო მთარგმნელებმა პოეტის უზადო ქმნილებანი რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ და სხვა უცხოურ ენებზე გაახმიანეს.

ბადრის ხშირად თბილისის ტრუბადურადაც მოიხსენიებენ. ეს საპატიო წოდება იმ მრავალწლიანი ღვწისა და რუდუნების შედეგად მოიპოვა, რომლის წყალობითაც შეძლო პოეტმა უკვდავი წიგნის „თბილისის ქანდაკების“ შექმნა. ამ წიგნმა, რომელშიც შესულია ჩვენი მარადსაფიცარი დედაქალაქის 200-მდე ძეგლი და ბიუსტი, ხალხში დიდი აღიარება და მოწონება პოვა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მას საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. თბილისის ისტორიას ეძღვნება პოეტის მეორე წიგნიც – „ახალი სახელები“.

ამ დღეებში პოეტის აღიარება კიდევ ერთ საპატიო ჯილდოში გამოიხატა – საქართველოს მწერალთა კავშირის საპრემიო კომისიის გადაწყვეტილებით, ბადრი ქუთათელაძეს, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის პრემია, უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მხატვრული, პუბლიცისტურ-ესეისტური ნაწარმოებებისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის.

იცოცხლეთ, მოღვაწეობასა და მოყვასის ძმობაში „წყალგაუმტარია“, რის უტყუარი დასტური მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება გახლავთ. ეს საპატიო „ხელობა“ ბადრის ხელიდან არასოდეს გაუგდია, მით უფრო ახლა, როცა დიდუბის მწერალთა პანთეონს პატრონობს და ქართული მწერლობისა და ხელოვნების კორიფეთა საფლავებს თავს დასტრიალებს.

რა ქნას, ასეთია და სხვანაირად არ შეუძლია. ნაღდი, პატრიოტი, სამშობლოს ერთგული, შინაურ-გარეულის მოყვარე და მოკეთე, მზიანი გულის პოეტია ჩვენი ბადრი. ეს კარგად ჩანს აქვე გამოქვეყნებულ ლექსშიც, რომელიც გამომშვიდობებისას გადმომცა პოეტმა.

ღმერთმა ჯანი და მუზა არ მოაკლოს.

**ოთარ ხუციშვილი**

## ბადრი ქუთათელაძე

## საქართველოს

**არ შემიძლია
უტკივილოდ
შენ რომ გიყურო,
შინაურისგან
დაპყრობილო
და გაყიდულო!..
ვალში ვართ შენთან,
ფარნავაზო,
მეფევ პირველო,
ათასეული
წლების მერე
უნდა გიმღეროთ...
ვალში ვართ შენთან...
და სიშორე
აღარ გვაშინებს,
თითქოსდა ახლა
გიპოვნეთ და
აღმოგაჩინეთ!
შორით გვიცქერის
დავით მეფე,
მეფე თამარი!
სიყვარულშია
ჩვენი ხსნა და
გამოსავალი...**

**აგერ, გაისმის
ლაფშა ცხენის
ტორთა თქარუნი,
ეს ცოტნე მოდის,
დადიანი –
და სიყვარული!..
გვამოძღვრავს უბრალო,
წვეროსანი,
მღვდელი თევდორე...
თავისი ნებით
სისხლი ჩვენი
მამულს ვერ ტოვებს...
და ეს დრო ჩქარი
ჭირ-ვარამში
როგორ გავიდა,
სირცხვილი ჩვენი!..
ძეგლი ახლა
უნდა დაგიდგათ...
არ შემიძლია
უტკივილოდ
შენ რომ გიყურო,
შინაურისგან
დაპყრობილო
და გაყიდულო!..**

---

**მანანა, დემურ მიქაძეები გულისტკივილით იუწყებიან ოჯახის საყვარელი მეგობრის
ანზორ მენთეშაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---



**აზა, გივი გავაშელები, ძმისცოლი ციური რეხვიაშვილი, შვილები ავთანდილ, ვახტანგ, ელენე, გალინა გავაშელები, შვილიშვილები ალექსანდრე, იგორ გავაშელები, გიორგი, დავით გრიგორაშვილები, რძალი თამილა წივწივაძე, სიძე გენო გრიგორაშვილი, ძმისწულები თამარ, ნანა, ნათია გავაშელები, მძახალი თამარ ქაჯაია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქ. რესპუბლიკის დამსახურებული გეოლოგი, საბჭოთა კავშირის მნიშვნელობის წიაღისეულის საპატიო მაძიებელი, მადნეულის ოქროს და ტყიბული-შაორის ნახშირის საბადოების პირველაღმომჩენი, ღირსების და საპატიო ნიშნის ორდენოსანი
შოთა მიხეილის ძე გავაშელი
პანაშვიდი 15, 16 V, 17 სთ. გამოსვენება 17 V, 14 სთ. მისამართი: კეკელიძის ქ. №8. ბ. 15.**

---

**შპს საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ჯემალ ვასილის ძე ქარუმიძე
და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

---

## განცხადება

**საქართველოს „გადახდისუნარიანობის საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 38 მუხლის შესაბამისად სააქციო საზოგადოება „ქუთბარიტის“ გაკოტრების მმართველი ლერი კუკულაძე 14 მაისს აცხადებს აუქციონს ქ. ქუთაისში მოვალის სს „ქუთბარიტის“ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, წერეთლის №170ა-ში.**

**ქონება შედგება:**

1. ადმინისტრაციული შენობა.
2. საამქრო.
3. კალციტის ფაბრიკა (წყალტუბო, სოფელი ჟონეთიძ.
4. ბაჯიორის უბანი (წყალტუბო. ს. დერჩიძ
5. საწარმოო მარაგები.
6. მიწის ნაკვეთი ქ. ქუთაისში 5044 $მ^2$.
7. სხვადასხვა სწრაფცვეთადი საგნები.

სააქციო საზოგადოება „ქუთბარიტის“ საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 1072604 ლარს.

აუქციონში მონაწილეობის უფლება შეუძლია ყველა პირს, რაიმე შეზღუდვა დაწესებული არ არის.

**დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ქ. ქუთაისი, წერეთლის № 170ა.**

**ტელეფონი: 8231 4-63-00 ან მობილური: 899 961639.**

**საკონტაქტო პირი ლ. კუკულაძე.**

**განცხადების მიღება აუქციონში მონაწილეობის მიღებაზე წარმოადგინეთ ქ. ქუთაისი, წერეთლის №170ა-ში.**

**გაკოტრების მმართველი**

---

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
**98-65-87; 899 32-85-76.**

---

წერილი რედაქციას

# შოთა ნიშნიანიძეს ყოველგვარ ადამიანურ უკეთურობასთან ერთად ტყუილიც ძალიან სძულდა

შოთა ნიშნიანიძის პოეზია იმითაც გამორჩეულია, რომ დრო თანდათან მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო თვითონ პოეტს სამართლიანად კიდევ უფრო განადიდებს. ასე რომ, როცა შოთა ნიშნიანიძეზე ვლაპარაკობთ, რამე არმომხდარი ფაქტის მოშველიება პოეტის სახელისთვის ახალი ელვარების მისანიჭებლად არა მარტო საჭირო არ არის, არამედ უხერხულიც კია.

სწორედ ასეთი გრძნობა დამეუფლა 11 მაისს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სადაც 80 წლის პოეტი გაიხსენეს. კერძოდ, ლაპარაკი მაქვს ასევე ჩინებულ პოეტ ერეკლე საღლიანზე, რომელმაც დიდად სამწუხაროდ, ცრუ ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას. როგორც ჩანს, იმისათვის, რომ ანგარიში გაეწია ამჟამინდელი სახელისუფლებო რუსოფობიისათვის, მან აშკარად მოგონილ ცრუ მდგომარეობაში ჩააყენა პოეტი.

არადა, შოთა ნიშნიანიძე 90-იან წლებში საოპერაციოდ მოსკოვში არ გამგზავრებულა. არც რომელიმე გულმოსულ რუს ექიმს მისთვის არ უთქვამს, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ყოველ ქართველს საოპერაციო მაგიდაზე დავტოვებდიო. არავის შოთა ნიშნიანიძისთვის არც ღირსება არ შეულახავს და ისიც მტკნარი ტყუილია, რომ თითქოს პოეტმა ამის გამო უარი განაცხადა ოპერაციაზე და სამშობლოში დაბრუნდა. ყოველივე ამას კი ასეთი ტრაგიკული დასკვნა მოსდევს: ვინ იცის, ეს ამბავი რომ არ მომხდარიყო, იგი იქნებ დღესაც ცოცხალი ყოფილიყოო...

პოეტის ცხოვრების ეს ეპიზოდი თავიდან ბოლომდე ტყუილია და ვითარების გამძაფრებისთვის არის შეთხზული. სინამდვილეში შოთა ნიშნიანიძე ყოველთვის ნანობდა, რომ ოპერაცია არ გაიკეთა ჯერ კიდევ საკავშირო დეპუტატობის დროს, 1980-იან წლებში, კრემლის მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოში, სადაც, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, ექიმები „სულში იძვრენდნენ, მაგრამ შეშინდა და ოპერაციის წინა დღეს გამოეწერა“...

როგორც უკვე ვთქვი, ერეკლე საღლიანიც ჩემი საყვარელი პოეტია და, ვფიქრობ, ვიღაცის ბოროტად ტენდენციურმა ნათქვამმა შეიყვანა შეცდომაში, რადგან არა მგონია, რომ თვითონ მოეგონა ასეთი უკეთური რამ.

პატივისცემით
**ელიზბარ ნებიერიძე,**
შოთა ნიშნიანიძის ახლობელი

---

**შპს თასსკი „ელვა“ აცხადებს აუქციონს საწარმოს ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემაზე შენობის მე-8 სართულზე 160 $მ^2$-ზე. საწყისი საიჯარო ქირა 1 $მ^2$-ზე შეადგენს 4 (ოთხ) ლარს პლუს დღგ და კომუნალური გადასახადები.**

**აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 28 მაისს 12 საათზე, ჯიქიას ქ. №10-ში, განცხადების მიღების ბოლო ვადაა 27 მაისი 2009 წ. საკონტაქტო ტელეფონი 54-51-95.**

**საწარმოს დირექცია.**

### დაიჯესტი

## ტანი – ოქროსი, ფესვები – ვერცხლისა...



**ადამიანებს მუდამ აოცებდა და იზიდავდა ხეების სიდიადე და ძალა. მრავალი ხე უკვე ასობით წელია ცოცხლობს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებმაც ათასწლოვან მიჯნასაც კი გადააბიჯეს და მათ ყოველთვის ეთაყვანებოდნენ. მრავალ ერს თუ ტომს მიაჩნდა, რომ ასეთ ხეებს ღმერთები დედამიწაზე თავიანთ საცხოვრებლად ირჩევენ. ასევე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ ხეთა ტოტების ჩრდილში კაცს თავში მხოლოდ წმინდა ზრახვები მოსდის.**

წმინდა ხეებს სულიერებად მიიჩნევდნენ, მათ ძირში შესაწირს ტოვებდნენ – საკვებს, წყლით სავსე დოქებს, მათ ესაუბრებოდნენ და შემწეობას შესთხოვდნენ. მათ ჩრდილში იმართებოდა სასამართლოები, აქვე იდებოდა ზავები. **იაპონურ მითებში წმინდა ხეა ფიჭვი ტოკოსაგო,** რომელიც კუნძულ ჰოკაიდოზე მთა ჰორიაისანზე იზრდება. ამ ფიჭვის ტანი და ტოტები ოქროსია, ფესვები – ვერცხლის, ხოლო ნაყოფი და წიწვები – პატიოსანი თვლებისა. **ნაძვი იაპონიაში, ისევე, როგორც ბამბუკი, დღეგრძელობის სიმბოლოდ ითვლება,** მას ხოტბა აქვს შესხმული მრავალ მხატვრულ ნაწარმოებში. **ეგვიპტეს წმინდა ხეა ჭადარი,** რომლის ჩრდილქვეშ თავს აფარებენ თაკარა მზეს. გარდა ამისა, **წმინდა ხეებია, აგრეთვე ანტიკური სიკომორი (ლეღვსულელაძ, ღვია, ტამარისკი და ნილოსის აკაცია.**

## მამოძრავებელი ძალა



**აფერისტები ყოველთვის გამოირჩეოდნენ კლიენტებზე „ზრუნვით". შემოდგომაზე მოსკოვში დააკავეს თაღლითების ჯგუფი, რომელიც „ბორბლებიანი" ოფისით, ანუ ჩვეულებრივი მიკროავტობუსით დედაქალაქის მშენებლობებსა და ბაზრებში დადიოდა, ყველა მსურველ მიგრანტს ნებისმიერ საბუთს „უმოწმებდა" და თუკი ვინმეს გამოიჭერდნენ, ფულსაც „ახევდნენ".**

მათ გარდა კიდევ დააკავეს მოსკოველ სუტენერთა ჯგუფი, რომელიც თავისსავე „კოლეგებს"... ელიტურ მეძავებს სტაცებდა. ამ ამბის განსაკუთრებული პიკანტურობა ის გახლავთ, რომ სუტენერები აიძულებდნენ ქალიშვილებს სამედიცინო ცენტრებში... დაკარგული ქალწულობის აღდგენას, რის შემდეგ მათ კლიენტებს ღამეში 80-100 ათას რუბლად სთავაზობდნენ.

რომ იტყვიან, კონკურენცია ვაჭრობის მამოძრავებელი ძალაა.

**უცხოური პრესის მიხედვით**

### რა არ ხდება

## კანცლერსაც გახადეს



**გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ეს ფოტო პაპარაცების ქურდული მონაპოვარი არ გეგონოთ. ბერლინის ცენტრში გამოფენილია უზარმაზარი სარეკლამო ფარები თითქმის შიშველი გერმანიის კანცლერის გამოსახულებით. ქვეყნის პირველი პირი რეკლამას უწევს ქალის თეთრეულის ნაწარმს.**

**რეკლამისტებმა ერთგვარად „გააშალაშინეს" ქალბატონ მერკელის გამოსახულება. ის 50-იანი წლების სტილში გადააკეთეს. და უფრო ტანადიც გამოიყვანეს. იქნებ სწორედ ამიტომ „ხუჭავენ თვალს" ქვეყნის ხელისუფალნი კანცლერის ასეთ გამოხდომებზე.**

### ჯანმრთელობა

## დიეტა გულს შველის



**ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს და იმის საიდუმლოც გაგვაცნეს, თუ როგორ შევინარჩუნოთ გულის ჯანმრთელობა მთელი სიცოცხლის მანძილზე.**

ისინი პირველ რიგში გვირჩევენ, შევზღუდოთ წითელი ხორცის, ძროხისა და ცხვრის ხორცის გამოყენება. ეს როდი ნიშნავს, რომ საერთოდ უარი ვთქვათ საყვარელ კერძებზე. საკმარისია, ის კვირაში ორ-სამჯერ გამოვიყენოთ. ისინი ასევე გვირჩევენ, ვჭამოთ უფრო მეტი მუქი ფერის ხილი და ბოსტნეული, აგრეთვე ყურძენი.

ექიმების თქმით, ყველის უზომოდ ჭამაც ასევე ვნებს გულს. ამასთან გვირჩევენ, გულის ჯანმრთელობისთვის სისტემატურად დავაკვირდეთ, ინსულინის დონეს.

ეჭვს არ იწვევს, რომ ამ რეკომენდაციების შესრულების გარდა, აუცილებელია ალკოჰოლის შემცირება და, რასაკვირველია, სპორტში რეგულარული ვარჯიშიც.

## ცხიმიანი საკვები მეხსიერებას აუმჯობესებს



**თითქმის ყველამ ვიცით, რომ მსუქანი საჭმელი ჯანმრთელობისთვის მავნეა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მსუქანი საკვების გამოყენებისას მნიშვნელოვნად უმჯობესდება მეხსიერება.** სპეციალისტები აცხადებენ, რომ მეხსიერების გაუმჯობესება ხდება თავის ტვინზე ჰორმონის oleoyleth anolamide (OEA) ზემოქმედებით. ეს ჰორმონი კი ჩნდება ნაწლავებში.

სწავლულების მიერ მოწყობილმა ექსპერიმენტებმა აჩვენა OEA-ს გამოწვეული დადებითი შედეგები. მკვლევარები აცხადებენ, რომ ამის საფუძველზე შემდგომში შეიქმნება ახალი წამალი მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემების სამკურნალოდ.

## წვენი გასუქების წინააღმდეგ



**ადამიანი, რომელიც დღეში ერთ ჭიქა ასპროცენტიან ხილის წვენს სვამს, ნაკლებად ექვემდებარება გასუქების რისკს – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი სპეციალისტები მინესოტის უნივერსიტეტიდან.** მათ გააანალიზეს 14 ათასზე მეტი კაცისა და ქალის მრავალწლიანი გამოკვლევები. გამოირკვა, რომ ისინი, ვინც სისტემატურად სვამენ ხილის ასეთ წვენს, ფლობენ სხეულის მასის ნაკლებ ინდექსს, ნაკლები აქვთ წელის შემოწერილობა, ხოლო გასუქების დაწყების რისკი 22 პროცენტით ნაკლები აქვთ, ვიდრე იმათ, ვისაც ასეთი წვენი არ უყვარს.

## ხილ-ბოსტნეულის კანი მავნებელია?



**განმტკიცებულია აზრი, რომ ბოსტნეულისა და ხილის კანი ძალზე სასარგებლოა. ბრიტანელმა მეცნიერებმა კი აღმოაჩინეს, რომ ვაშლის კანიდან მიღებული ექსტრაქტი 43 პროცენტით ანელებს ავთვისებიანი უჯრედების გავრცელებას მსხვილი ნაწლავის კიბოს დროს, ხოლო რბილობილის ექსტრაქტი – მხოლოდ 29 პროცენტით, კიტრის კანი კი ძალზე სასარგებლოა კანისთვის.**

თუმცა ეს მხოლოდ მედლის ერთი მხარეა. ნაყოფის კანი, როგორც ღრუბელი, აგროვებს აგრეთვე ჩვენი ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებებსაც, თუ კი მათ იყენებდნენ ამ კულტურის მოვლისას.

ხილის კრიალა გარეკანმა, ლამაზმა შესახედაობამ უნდა გააფრთხილოს მყიდველი. სპეციალისტები გვირჩევენ, მოვაშოროთ კანი ბოსტნეულსა და ხილს, რათა გავაუვნებლოთ ჩვენი და ახლობლების ჯანმრთელობა.

## მაკიაჟი ტანადობას უხდება

**ფრანგმა მეცნიერებმა თავიანთი გამოკვლევებით დაადგინეს, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, რეგულარულად რომ იყენებენ დეკორატიულ კოსმეტიკას, უკეთესი ტანადობა აქვთ, ვიდრე მათ, ვინც მას იშვიათად ხმარობს.**



შესაძლოა, საქმე ისაა, რომ მაკიაჟის გაკეთების პროცესი თავისებური ტანვარჯიშია, ხელს რომ უწყობს მოძრაობის კოორდინაციის გაუმჯობესებას და წონასწორობის გრძნობას.

ასევე ხანდაზმულ ქალთა შორის, კოსმეტიკას სისტემატურად რომ ხმარობენ, იშვიათია წაქცევა, თეძოს თავის მოტეხვას რომ იწვევს, რომელიც საშიში რამაა ხანდაზმულ ასაკში.

**უცხოური პრესის მიხედვით**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87;
899 32-85-76.

### კადრი



### ანეკდოტები

დედა ქორწილის წინ პატარძალს არიგებს:

„შვილო, ერთი სასარგებლო რჩევა უნდა მოგცე – არასოდეს არ ეკამათო ქმარს. მაშინვე ატირდი".

* * *

პეტკა და ვასკა არაყს სვამენ.

– ჩემი ცოლი ნამდვილი ძუკნაა, – ამბობს პეტკა.

– რის საფუძველზე ამბობ ამას?

– წარმოგიდგენია? მივლინებიდან დაბრუნების წინ სახლში დეპეშა გამოვგზავნე, მოვდივარ-მეთქი. ჩამოვედი და სახლში საყვარელთან ერთად არ დამხვდა?



ცოტა ხნის შემდეგ კი ჩაფიქრებული დასძენს:

– თუმცა შეიძლება არც იყოს ძუკნა. იქნებ, უბრალოდ დეპეშა არც მიუღია!

* * *

– გამარჯობა, მიხო! მითხრეს, ცუდად არის, სასიკვდილოდაა გადადებულიო.

– ვიყავი. მიძელაც მესტუმრა თავისი ცელით. ვილაპარაკეთ. ახლა ეგერ, ჩემს გაზონში ბალახს თიბავს.

* * *

– გუშინ საუცხოო ქურქი ვიყიდე, მაგრამ ჩემს ქმარს არ მოეწონა.

– მერე შენც გადაცვალე მაღაზიაში.

– რას ამბობ, სადაა ისეთი მაღაზია, სადაც ქმრებს ცვლიან?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.